გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

№90 (846) 6 – 8 სექტემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი

# ნინო ბურჯანაძის წინასაარჩევნო ბლეფი მეანაბრეებს ისევ აცყუებენ!



დადასტურდა მხოლოდ ერთი — საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი ნამდვილად უნგრეთში, ბუდაპეშტში ცხოვრობს და არამხოლოდ ცხოვრობს, უნგრეთის პრემიერის ოფიციალური მრჩეველიც ყოფილა იურიდიულ საკითხებში. „ვერსიის“ ინფორმაციით, ადეიშვილთან ერთად იმყოფება ყოფილი მთავარი პროკურორი მურთაზ ზოდელავა ოჯახით, იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინათინ ბურჯალიანი ოჯახით, ასევე ადიშვილის ოჯახის წევრები, რომელთა წინააღმდეგაც ისევე, როგორც ექსმინისტრის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული და წინასწარი პატიმრობა აქვთ შეფარდებული დაუსწრებლად. რასაკვირველია, ეს ინფორმაცია საზოგადოებისთვისაა ჭორი, თორემ დღევანდელი ხელისუფლებისთვის გადამოწმებული და დადასტურებულია. რატომ არ იღებენ შესაბამის ზომებს სამართალდამცავი ორგანოები, როგორც ჩანს, ეს ის 300-მილიონიანი „სიმართლეა“, რომელიც ადეიშვილის საქართველოდან გაქცევისთანავე გავრცელდა!

გვ. 3

## რომელ ჩინოვნიკებთან ერთად ცხოვრობს უნგრეთში და გაუხსნა თუ არა ფილიალი „საქართველოს ბანკმა“ ბუდაპეშტში ზურაბ ადეიშვილს, რატომ ვერავინ დააბრუნებს ოფშორში გატანილ მილიონებს?!

# შსს-მ სკანდალური ფარული ჩანაწერები გაანადგურა

პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების გამოქვეყნება პატიმრობით დაისჯება

## „ერთ ფაქტს გეტყვით... შეიძლება, არც ღირს გახმაურება, მაგრამ ჩანს, პოლიტიკოსი ვერ გავხდი“



გვ. 6–7

ვის მოიაზრებს პრემიერად, როგორ აპირებს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას და რა გეგმები აქვს პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილს



გვ. 4

## პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში „პრეზიდენტ-ჰოტელს“ გახსნიან?

„ერთ-ერთი ვერსიით, რეზიდენციის შენობაში საგარეო საქმეთა სამინისტროც უნდა გადასულიყო“

## „გეგმა ასეთია... მაგრამ, ივანიშვილი მეორედ მოსვლას ვერ შეძლებს!“



გვ. 5

როგორ დასასრულს უწინასწარმეტყველებს ქართველ „დონ კორლეონე“ ბიძინა ივანიშვილს და „ფეესბეს“ რა გეგმას შიფრავს გივი თარგამაძე



## გენმოდიფიცირებული პროდუქცია შესაბამისი მითითებით გაიყიდება

გენმოდიფიცირებული პროდუქცია სავაჭრო ობიექტებში შესაბამისი მითითებით გაიყიდება. პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის გიგლა აგულაშვილის თქმით, მთავრობამ მიიღო დადგენილება ბიოწარმოების შესახებ, ასევე მიღებულია დადგენილება, რომელიც ასეთი პროდუქციის ეტიკეტირებას და მასზე სავალდებულო მითითების გაკეთებას გულისხმობს: **„ჩვენ არ ვართ მოტივირებული გენმოდიფიცირებული პროდუქციის წარმოებით. პირიქით, ვახალისებთ პროცესებს, რომელიც ხელს უწყობს ეკოლოგიურად სუფთა, ბიოწარმოების პროდუქტების წარმოებას. დამოკიდებულება ასეთია, თუმცა არა მკვეთრად აკრძალვითი, ანუ ჩვენი მინიმალური მოთხოვნაა ის, რომ მომხმარებელი ინფორმირებული იყოს, თუკი პროდუქტი შეიცავს თუნდაც ერთ კომპონენტს, რომელიც შეიძლება გენმოდიფიცირებული იყოს. ასეთ პროდუქტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაბამისი აღნიშვნა“.**

მისივე თქმით, ამ ეტაპზე არსებული ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გენმოდიფიცირებული პროდუქციის იდენტიფიცირება შეუძლებელია, თუმცა სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად მუშაობს, რათა ქვეყანაში სათანადო ლაბორატორია შეიქმნას და ასეთი პროდუქტის იდენტიფიცირება შესაძლებელი გახდეს.

***„ინტერპრესნიუსი“***



## მსახიობი რეზო თავართქილაძე გარდაიცვალა

84 წლის ასაკში მოზარდმაყურებელთა თეატრის მსახიობი რეზო თავართქილაძე გარდაიცვალა. საქართველოს სახალხო არტისტ რეზო თავართქილაძეს მოზარდმაყურებელთა თეატრში არაერთი როლი აქვს განსახიერებული. მსახიობს თეატრის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს. რეზო თავართქილაძე სახელმწიფო და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატიც იყო.

მსახიობის სამოქალაქო პანაშვიდი 8 სექტემბერს, მოზარდმაყურებელთა თეატრში გაიმართება, რომელსაც დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალავენ.

„ვერსია“ მწუხარებას გამოთქვამს მსახიობის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს, ასევე სრულიად საქართველოს.

***„ინტერპრესნიუსი“***

## წნორის სამშობიარო კლინიკაში მშობიარე გარდაიცვალა

წნორის სამშობიარო კლინიკაში 34 წლის მშობიარე ქალი გარდაიცვალა. გარდაცვლილი ცირა თავართქილაძის ოჯახის წევრები მომხდარში კლინიკის ექიმს, გია მოსულიშვილს ადანაშაულებენ. მათი თქმით, პაციენტს საკეისრო კვეთა 12 საათის განმავლობაში უტარდებოდა, თუმცა ამ ხნის განმავლობაში ექიმი მათ არწმუნებდა, რომ პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა.

ექიმის, გია მოსულიშვილის განცხადებით კი, პაციენტის მდგომარეობა მას შემდეგ დამძიმდა, რაც სისხლდენა დაეწყო. მოგვიანებით, ოპერაციაში თბილისიდან ჩასული კატასტროფის ბრიგადის მედიკოსებიც ჩაერთნენ, თუმცა მშობიარეს გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ახალგაზრდა ქალის გარდაცვალების შემდეგ, გარდაცვლილის ოჯახის წევრებმა შენობის ფანჯრები ჩაამტვრიეს, დაამტვრიეს ტექნიკა და ექიმს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ოჯახი ექიმის უმკაცრესად დასჯას ითხოვს.

რაც შეეხება ახალშობილს, ის ამ დროისთვის წნორის კლინიკაშია მოთავსებული. ბავშვის სიცოცხლეს, ექიმების თქმით, საფრთხე არ ემუქრება.

***„ინტერპრესნიუსი“***

# შსს-მ სკანდალური ფარული ჩანაწერები გაანადგურა



რუსუდან შელია
557-100-768

**5 სექტემბერს, „მოდულის“ შენობაში პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ფოტო, ვიდეო და აუდიოჩანაწერები გაანადგურეს. უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის წევრებისა და მედიის წარმომადგენლების თანდასწრებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა აპარატ „შრედერის“ მეშვეობით 110 დისკი გაანადგურა. როგორც პროცესის დროს განიმარტა, ეს დისკები პირადი ცხოვრების ამსახველ 144 ფაილს შეიცავდა. ცნობილია, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა დაახლოებით 181 საათისა და 30 წუთის ხანგრძლივობის იყო.**

როგორც მედიის წარმომადგენლებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა თამარ ქალდანმა განუმარტა, ჩანაწერების განადგურებამდე მასალები სპეციალურ დალუქულ კონტეინერში ინახებოდა, რომელზეც ლუქი საჯაროდ, ჟურნალისტების თანდასწრებით მოიხსნა. შინაგან საქმეთა მინისტრის, **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებით, უწყებაში აღმოჩენილი, დაახლოებით, 25 ათასი ფაილი ჯერ კიდევ სამინისტროში ინახება: **„დროებითმა კომისიამ უკანონო ჩანაწერების განადგურებასთან დაკავშირებით, დიდხანს იმსჯელა. მოგეხსენებათ, კომისიაში აზრთა სხვადასხვაობაც იყო, მაგრამ უმრავლესობამ მთავრობასთან ერთად, გადაწყვეტილება მიიღო, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა უნდა განადგურდეს. კონსულტაციები უცხოელ ექსპერტებთან გავიარეთ, მათ შორის, თომას ჰამერბერგთანაც, დასავლური ქვეყნების გამოცდილებაც გავიზიარეთ და პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის განადგურების გადაწყვეტილებაც მხოლოდ ამის შემდეგ მივიღეთ. მართალია, მოსახლეობის დიდი ნაწილი გარკვეულ შეშფოთებას გამოთქვამდა, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ფაილები არ უნდა განადგურებულიყო, თუმცა ჩვენ ყველა მოპოვებულ მასალას არ ვანადგურებთ. ვგულისხმობ იმ 25 ათას ფაილს, რომელიც სამინისტროში ჯერ კიდევ ინახება. ამჟამად ამ მასალის გადახარისხების პროცესი მიმდინარეობს, რომელთაგან მხოლოდ პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერები გამოვყავით. დანარჩენ მასალაზე კომისია მსჯელობას გააგრძელებს. მთავარია, სწორად გავაანალიზოთ, რასთან გვქონდა საქმე, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც აღმოვაჩინეთ, რომ წლების განმავლობაში ამ მასალების უკანონო მოპოვება, ჩაწერა-მიყურადება ხდებოდა. მიმაჩნია, რომ მრავალწლიანი ნეგატიური გამოცდილების მკაცრი შეფასებაც აუცილებელია, რის შემდეგაც საჭირო იქნება გამოძიების დაწყება. ხსენებულ 26 ათას ფაილში არ შედის ის ვიდეო და აუდიომასალა, რომელიც სამინისტრომ სამეგრელოში აღმოაჩინა. აღნიშნული მასალა განთავსებულია დაახლოებით 404 ჩ-დისკზე, თუმცა ეს ცალკე საქმეა და ამასთან დაკავშირებით პარალელურ გამოძიებასაც ვაწარმოებთ.**

შეხვედრაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა არ გამორიცხა, რომ შესაძლოა, უკანონოდ მოპოვებული ფარული ჩანაწერების ასლები არსებობდეს: **„სამწუხაროდ, ჩვენი ინფორმაციით, მასალების უმრავლესობა კოპირებულია. დიდი ალბათობით, იმ მასალის ასლები, რომელიც შსს-ს არქივში დაგვხვდა და რომელიც მოვიპოვეთ, შესაძლოა, წინა ხელისუფლების წარმომადგენლებსაც აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის გადაწყვეტილებით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გამკაცრდება. კანონში მითითებულ იქნება, რომ პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია სრულად დაცული უნდა იყოს. გამკაცრდება სადამსჯელო ღონისძიებებით და, სავარაუდოდ, პირადი ინფორმაციის უკანონოდ გასაჯაროება პატიმრობით დაისჯება.**

ირაკლი ღარიბაშვილის მოსაზრება იუსტიციის მინისტრმა **თეა წულუკიანმაც** გაიზიარა და აღნიშნა, რომ ამგვარი დანაშაულისთვის მხოლოდ ჯარიმის დაკისრება უადგილო და სასაცილოა. კერძოდ, საუბარია პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გამოქვეყნების შემთხვევაში სსსკ-ს 157-ე, 158-ე და 159 მუხლებიდან ჯარიმის ნორმის ამოღებასა და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებაზე: **„კომისიის წინა სხდომაზე ერთხმად გადავწყვიტეთ, რომ ამ მუხლებიდან დანაშაულის შემადგენლობა დაზუსტდეს და პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის უკანონოდ გამოყენება გამოირიცხოს. კომისიის აზრით, ცვლილება არა მხოლოდ მოქმედი თანამდებობის პირებს, არამედ ყოფილი თანამდებობის პირებსაც უნდა შეეხოთ. ვვარაუდობთ, რომ სადამსჯელო ღონისძიებიდან ჯარიმა საერთოდ ამოვიღოთ და საპატიმრო წლების რაოდენობაზე შევჯერდეთ. მიგვაჩნია, რომ 1, 2 და 3 წელი ამ ტიპის დანაშაულისთვის საკმარისი არ იქნება. ჯარიმა კი უადგილო და სასაცილოც კია“.**

პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის განადგურების შემდეგ მედიის წარმომადგენლებს დაქუცმაცებული დისკების ნარჩენებიც აჩვენეს. პროცედურის დასრულების შემდეგ კი სპეციალური ოქმი შედგა, რომელსაც ხელი კომისიის ყველა წევრმა მოაწერა.



# ნინო ბურჯანაძის წინასაარჩევნო ბლეფი — მეანაბრეებს ისევ ატყუებენ!



## რომელ ჩინოვნიკებთან ერთად ცხოვრობს უნგრეთში და გაუხსნა თუ არა ფილიალი „საქართველოს ბანკმა“ ბუდაპეშტში ზურაბ ადეიშვილს, რატომ ვერავინ დააბრუნებს ოფშორში გატანილ მილიონებს?!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოდან გაქცეული ზურაბ ადეიშვილი განტევების ვაცად იქცა — გავრცელებული კულუარული ინფორმაციების გადამოწმების შემდეგ დადასტურდა მხოლოდ ერთი — საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი ნამდვილად უნგრეთში, ბუდაპეშტში ცხოვრობს და არამხოლოდ ცხოვრობს, უნგრეთის პრემიერის ოფიციალური მრჩეველიც ყოფილა იურიდიულ საკითხებში. „ვერსიის“ ინფორმაციით, ადეიშვილთან ერთად იმყოფება ყოფილი მთავარი პროკურორი მურთაზ ზოდელავა ოჯახით, იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინათინ ბურჯალიანი ოჯახით, ასევე ადიშვილის ოჯახის წევრები, რომელთა წინააღმდეგაც ისევე, როგორც ექსმინისტრის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული და წინასწარი პატიმრობა აქვთ შეფარდებული დაუსწრებლად. რასაკვირველია, ეს ინფორმაცია საზოგადოებისთვისაა ჭორი, თორემ დღევანდელი ხელისუფლებისთვის გადამოწმებული და დადასტურებულია. რატომ არ იღებენ შესაბამის ზომებს სამართალდამცავი ორგანოები, როგორც ჩანს, ეს ის 300-მილიონიანი „სიმართლეა“, რომელიც ადეიშვილის საქართველოდან გაქცევისთანავე გავრცელდა! „დემოკრატიული მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ საქართველოს ბანკმა ბუდაპეშტის ფილიალი ზურაბ ადეიშვილისთვის გახსნა. პრეზიდენტობის კანდიდატის თქმით, ადეიშვილი საქართველოს ბანკის ბუდაპეშტის ფილიალში იმ მილიარდებს „ათეთრებს“, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ საქართველოდან გაიტანა. სინამდვილეში, საქართველოს ბანკმა უნგრეთში საკუთარი წარმომადგენლობა და არა ფილიალი, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე გახსნა.**

ჩოხატაურის რაიონში, ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს, ნინო ბურჯანაძე მოსახლეობას არა მარტო ნაციონალური მოძრაობის დატაცებული მილიარდების დაბრუნებას, არამედ ოფშორულ ზონებში გატანილი ფულადი სახსრების დაბრუნებასაც დაპირდა:

**„ნაციონალურმა მოძრაობამ 9 მილიარდი გაიტანა საქართველოდან. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ზურაბ ადეიშვილი, რომელიც ბუდაპეშტშია, ფულის სერიოზულ მიმოქცევას ახორციელებს. ამ ფულის მიმოქცევის გასათეთრებლად, საქართველოს ბანკმა, რომელსაც არ გაუხსნია ფილიალი ბერლინში, ლონდონში, პარიზში, ბუდაპეშტში გახსნა ფილიალი, სადაც დაახლოებით, 15 ქართველი ცხოვრობს. მათ შორის, ზურაბ ადეიშვილი, რომელიც საქართველოდან გატანილ მილიარდებს ოფშორულ ზონებში ატრიალებს. გაძლევთ პირობას, რომ შევძლებ, ოფშორებში დამალული ის თანხები გაიხსნას, რომლებიც თქვენ მოგპარეს. ეს თანხა საქართველოსა და თითოეულ თქვენგანს უნდა დაუბრუნდეს და არავინ გითხრათ, რომ ეს შეუძლებელია“.**

რას ნიშნავს საპრეზიდენტო კანდიდატის ეს განცხადება და არის თუ არა კერძო ბიზნესის, ამ შემთხვევაში, საქართველოს ბანკის მიზანმიმართული დისკრედიტაცია? „ვერსია“ საქართველოს ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, სოფო ბალავაძეს დაუკავშირდა:

**„საქართველოს ბანკის უნგრეთის წარმომადგენლობის მისამართით გამოთქმული ბრალდება, აბსოლუტურად არ შეესაბამება სიმართლეს. საქართველოს ბანკმა ბუდაპეშტში წარმომადგენლობა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე გახსნა. საზღვარგარეთ წარმომადგენლობების გახსნა, საქართველოს ბანკმა 2008 წელს დაიწყო და, შესაბამისად, წარმომადგენლობა ჯერ ისრაელში, შემდეგ – ინგლისში გაიხსნა. არცერთი ასეთი წარმომადგენლობა, ბუდაპეშტში არსებულის ჩათვლით, ბანკის ფილიალი არ არის და საბანკო ოპერაციებს არ ახორციელებს. ამ წარმომადგენლობების ძირითადი საქმიანობაა, მიაწოდოს სრული ინფორმაცია პოტენციურ უცხოელ კლიენტებს საქართველოს ბანკის პროდუქტების შესახებ. დაინტერესების შემთხვევაში კი ჩვენს ქვეყანაში შესთავაზოს მომსახურება“.**

ნინო ბურჯანაძის განცხადება აფერაა, რაც პოტენციური ამომრჩევლების გულების მოგებაზეა გათვლილი. როგორც ჩანს, პრეზიდენტობის კანდიდატს ავიწყდება, რომ 21-ე საუკუნეში, უახლესი ტექნოლოგიების ეპოქაში, კომერციულ ბანკს სრულიად არ სჭირდება ფილიალის გახსნა ამა თუ იმ ქვეყანაში, თუნდაც ფულის გასათეთრებლად. დავუშვათ, ზურაბ ადეიშვილი საქართველოდან მოპარულ მილიარდებს მართლაც „ათეთრებს“, რატომ გახსნიდა საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორი, ირაკლი გილაური საკუთარი ბანკის ფილიალს რომელიმე ქვეყანაში და ზედმეტ ხარჯს რატომ აკიდებდა ბანკს? რა პრობლემაა, ნებისმიერი რაოდენობის თანხის გადარიცხვა, ნებისმიერი ქვეყნის, ნებისმიერ ბანკში? რაც მთავარია, ირაკლი გილაური, რომელიც ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ნიკა გილაურის ძმაა, ზურაბ ადეიშვილის გამო თავს საფრთხეში ნამდვილად არ ჩაიგდებდა. ეტყობა, ნინო ბურჯანაძემ არ იცის, რომ ნიკა გილაური ვანო მერაბიშვილის კადრი იყო და არა ზურაბ ადეიშვილის, ყოველ შემთხვევაში, გასული 9 წლის განმავლობაში, წინა ხელისუფლების კულუარებში, ნიკა გილაურს მერაბიშვილის ფავორიტად ასახელებდნენ.

მართალია, საქართველოს ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა „ვერსიას“ დაუზუსტა, რომ უნგრეთის გარდა, საერთაშორისო მასშტაბით, წარმომადგენლობები აქვს ისრაელსა და ინგლისში, მაგრამ ნინო ბურჯანაძეს ეს ყველაფერი, მათი ოფიციალური პასუხის გარეშეც უნდა სცოდნოდა. საქართველოს ბანკი ერთადერთი კომერციული სტრუქტურა იყო, რომელმაც საკუთარი აქციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე განათავსა. სხვა საკითხია, რამდენად გაამართლა ამ პროექტმა, მაგრამ ფაქტია, რომ ირაკლი გილაურმა საერთაშორისო ასპარეზზე სერიოზული ნაბიჯი გადადგა. ორგზის დროებითმა პრეზიდენტმა, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარეობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, არ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს ბანკს ლონდონში ფილიალი თუ არა, წარმომადგენლობა აუცილებლად ექნებოდა? სხვაგვარად, საფონდო ბირჟაზე აქციების 25%-ს როგორ განათავსებდა?

რაც შეეხება ოფშორულ ზონებში არსებული თანხების გასაჯაროებასა და საქართველოში დაბრუნებას, რაც ნინო ბურჯანაძეს შეუძლებლად სულაც არ მიაჩნია და რასაც ამომრჩევლებს პირდება, სრული აბსურდია. ვეცდები, მარტივად და ყველასთვის გასაგებად ავხსნა, რატომ. მსოფლიოში სამი სახის ეკონომიკური ზონა არსებობს: თავისუფალი ეკონომიკური ზონა, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და ოფშორული ზონა. ეკონომიკურსა და ინდუსტრიულ ზონებზე არ შევჩერდები, მხოლოდ ოფშორული ზონა განვიხილოთ, რაც ნებისმიერი ჩვენგანის ქვეცნობიერში შავი ფულის „გათეთრებასთან“ ასოცირდება.

**„ოფშორულ ზონად მიიჩნევა ქვეყანა ან ტერიტორია, რომლის კანონმდებლობაში ნებადართულია ქვეყნის ტერიტორიის გარეთ მოქმედი წყაროებიდან, მოგების მიმღები კომპანიის (ოფშორული კომპანიის) რეგისტრაცია. საერთაშორისო ორგანიზაცია „ფინანსური სტაბილურობის ფორუმი“ ოფშორულ ზონას განსაზღვრავს, როგორც „იურისდიქციას, რომელიც არარეზიდენტების აქტივობის მაღალ დონეს განაპირობებს“. ეს აქტივობა განპირობებულია გადასახადების თავიდან აცილების ან მათი შემცირების შესაძლებლობით. შესაბამისად, ოფშორული ბიზნესი გადასახადების თავიდან აცილების ან მათი შემცირებისა და მოგების გადიდების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ოფშორული ოპერაციაა ანუ ესაა ბიზნესი, რომელიც ხორციელდება მოცემული იურისდიქციის საზღვრებს გარეთ, აქვს შემოსავლების უცხოური წყარო და შეღავათიანი დაბეგვრა“,** — ასეა განმარტებული ოფშორული ზონა ეკონომიკურ ენციკლოპედიაში.

მსოფლიოში ცნობილი ოფშორული ზონებია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, კაიმანის კუნძულები, ანტიგუა და ბარბუდა, ბაჰამი, ბაჰრეინი, ბარბადოსი, ანდორა, ანგოლა, სეიშელი, სამხრეთ კორეა, სინგაპური და ასე შემდეგ. ოფშორული ზონების „ხიბლი“ ზუსტად ისაა, რომ ნებისმიერ პოლიტიკოსს, რომელსაც სურვილი აქვს, სწრაფად დაარეგისტრიროს კომპანია, სოლიდური თანხის გადახდის შემდეგ, ამას თავისუფლად შეძლებს ისე, რომ თვითონ არც კი გამოჩნდება. ანგლო-ამერიკული სამართალი, რომელიც ძირითადად, „ტრასტის“ (ნდობის) საფუძვლებს ეყრდნობა, ასეთი ქმედების განხორციელების საშუალებას იძლევა. დავუშვათ, ლორდთა პალატის წევრი ხართ, „ტრასტის“ საფუძველზე, გააფორმებთ ხელშეკრულებას ნდობით აღჭურვილ პირთან, რომელიც ერთ-ერთ ოფშორულ ზონაში, ვთქვათ, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დაარეგისტრირებს კომპანიას და საკმაოდ სოლიდურ თანხასაც გადაიხდის. ცხადია, ოფშორში დარეგისტრირებული კომპანია დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმით სარგებლობს, სამაგიეროდ, გადასახადი იმდენად სოლიდურია, რომ ამ შემთხვევაში, არც ერთი ოფშორული ზონა, შემოსავლების მიღების თვალსაზრისით, წაგებაში არ არის.

ოფშორულ ზონებში კომპანიებს იმიტომ არეგისტრირებენ, რომ რეალური დამფუძნებლებისა და მფლობელების ვინაობა არ გამჟღავნდეს და ამ ზონებში დარეგისტრირებულ კომპანიებში ფულის მოძრაობაც დაფარული იყოს. ესაა ოფშორული ზონების „ანი და ჰოე“, ამიტომ ნებისმიერი დაპირება, პრეზიდენტად თუ ამირჩევთ, ოფშორულ ზონებს გავხსნი და ხალხი თავის კუთვნილ თანხას დაიბრუნებს, ბლეფია და სხვა არაფერი. ვერავინ, ვერასდროს და ვერაფერს გაიგებს, რადგან ეს თითქმის წარმოუდგენელია. ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება, რომ ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიის რეალური მფლობელების ვინაობა შევიტყოთ და ისიც მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. მაგალითად, თუ პროკურატურას ეჭვი შეეპარება, რომ ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანია საეჭვო გარიგებებში მონაწილეობს, აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს, რასაც მყარი არგუმენტებით დაასაბუთებს. ამის შემდეგ, თუ მოსამართლე პროკურატურის არგუმენტებს საფუძვლიანად მიიჩნევს, ოფშორული ზონიდან ამ კომპანიის მფლობელების ვინაობას გამოითხოვს. როგორც ხედავთ, საკმაოდ რთული პროცედურაა, მაგრამ ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიების მფლობელების ვინაობის დადგენა, მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა და არა რიგითი პოლიტიკოსის, თუნდაც ის პრეზიდენტობის კანდიდატი კი არა, ქვეყნის პრეზიდენტი იყოს.

Georgia PM says 'why not?' on Eurasian Union

04.09.13 @ 16:46

**RELATED** › Georgia's PM lays out European 'dream' › Armenia to join Russia trade bloc, surprises EU › Ukraine urges Russia to accept 'reality' on EU relations

BY ANDREW RETTMAN

BRUSSELS - One day after Armenia said it will join Russia's Eurasian Union, Georgia's PM has said it might, in due course, do the same.

Speaking on national TV on Wednesday (4 September), the Prime Minister, Bidzina Ivanishvili, said: "I am keeping a close eye on it [the Eurasian Union] and we are studying it. At this stage we have no position at all. If in perspective we see that it is in our country's strategic interest, then, why not? But at this stage we have no position at all."



Ivanishvili at his summer home in Ureki, on the Black Sea coast (Photo: euobserver.com)

## „საქართველოს პრემიერი ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას არ გამორიცხავს“

ამ სათაურით აქვეყნებს გამოცემა უობსერვერ ენდრიუ რიტმანის სტატიას. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, სომხეთის მიერ რუსეთის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების სურვილის გამოთქმიდან მეორე დღეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ შესაძლოა, იგივე სურვილი თავადაც გამოთქვას.

როგორც ენდრიუ რიტმანი აღნიშნავს, ბიძინა ივანიშვილის ამ განცხადებას დაუყოვნებელი რეაქცია მოჰყვა საქართველოს პარლამენტში, სადაც ნაციონალური მოძრაობის წევრმა გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, ვიმედოვნებ, პრემიერ-მინისტრი ცრუობს და სინამდვილეში, საქართველოს ხელისუფლება არ განიხილავს ამ ვარიანტსო.

სტატიის ავტორი ასევე წერს, რომ ამ განცხადებებიდან მოგვიანებით, პრემიერის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა ბრიუსელში მდებარე მისი ლობისტი კომპანია Cambre Associates-ის მიერ მომზადებული პრესრელიზი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ივანიშვილი არ გამორიცხავს მომავალში ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას, რომელიც ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. თუმცა, ივანიშვილი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე, ამ საკითხთან დაკავშირებით პოზიცია არ აქვს.

**„ევრაზიული კავშირი რუსეთის გეგმაა, რომლის მიხედვითაც 2015 წელს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ახალი გაერთიანება უნდა შეიქმნას, თუმცა საქართველოს ოფიციალური მისწრაფება ქვეყნის ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანებაა და არა — ევრაზიულ კავშირში. ამ მისწრაფებისკენ სვლის გზაზე, პირველი ნაბიჯის გადადგმას საქართველო ნოემბერში აპირებს ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმებით“,** — წერს ენდრიუ რიტმანი და აღნიშნავს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის ჯარებს დღემდე ოკუპირებული აქვთ საქართველოს ორი რეგიონი, რუსეთთან ურთიერთობა კი მწვავე თემაა. სტატიის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მასთან საუბრისას საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ განაცხადა, ივანიშვილის განცხადება საუკეთესო შემთხვევაში მის არაკომპეტენტურობას შეიძლება მივაწეროთო.

**„ივანიშვილის განცხადება სომხეთის პრეზიდენტის, სერჟ სარგსიანის სამშაბათს გაკეთებულ განცხადებას მოჰყვა — ნაცვლად ევროკავშირთან ხელშეკრულების გაფორმებისა, სომხეთი რუსეთის ბლოკს შეუერთდებაო. ამან ევროკავშირის ლიდერთა გაოცება გამოიწვია. რუსეთი, სომხეთის უსაფრთხოების მთავარი გარანტორია აზერბაიჯანთან მის გაყინულ კონფლიქტში. მეზობლებზე ზეწოლის ნიშნად. ამასწინ, მოსკოვი მოლდოვასა და უკრაინას სავაჭრო სანქციებით დაემუქრა. თუ ისინი ევროკავშირის შეთანხმებების პარაფირებას მოახდენდნენ“,** — წერს ენდრიუ რიტმანი.

სტატიის ავტორი ასევე ციტირებს ივლისში Euobserver-თან გაკეთებულ საქართველოს პრემიერის კომენტარს, რა დროსაც მან განაცხადა, რომ მისი ოცნება საქართველოს ტიპურ ევროპულ საზოგადოებად გარდაქმნაა.

**„მაგრამ ივანიშვილის მმართველი კოალიცია მემარჯვენე ელემენტებს შეიცავს, რომელიც აცხადებს, რომ ევროპული ლიბერალური ფასეულობები, როგორიც ჰომოსექსუალთა უფლებების დაცვაა, შეუთავსებელია ორთოდოქსული საქართველოსთვის“,** — წერს ენდრიუ რიტმანი და დასძენს, რომ ივანიშვილმა ქონება 90-იანი წლებში რუსეთში დააგროვა, თუმცა როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა Euobserver-თან საუბრისას განაცხადა, კრემლში ფარული წყაროები არ ჰყავს.

*„ინტერპრესნიუსი“*

# პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში „პრეზიდენტ-ჰოტელს“ გახსნიან?



## „ერთ-ერთი ვერსიით, რეზიდენციის შენობაში საგარეო საქმეთა სამინისტროც უნდა გადასულიყო“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**მართალია, არჩევნებამდე ჯერ საკმაო დროა და კიდევ უფრო მეტი — მისი შედეგების გამოცხადებამდე, მაგრამ მომავალი პრეზიდენტის ადგილსამყოფელი აქტიური მსჯელობის საგანი უკვე გახდა. ამ დროისთვის, გარკვეული მხოლოდ ისაა, რომ ავლაბრის რეზიდენციაში, რომელსაც, ჯერჯერობით, მიხეილ სააკაშვილი იკავებს, მომავალი პრეზიდენტი არამც და არამც არ შევა! რაკი ეს ქვეყნისა და პრემიერის აპარატის ნომერპირველი პრობლემაა და არც ახალი რეზიდენციის რეაბილიტაცია გვენანება, მაშინ ისიც გარკვეული უნდა იყოს, რა ბედი ელის ავლაბრის სასახლეს. ოფიციალური სტრუქტურები კი ამ კითხვაზე პასუხს აგვიანებენ...**

როგორც ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო იუწყება, პრეზიდენტის ახალი რეზიდენციის შენობად ათონელის 25-ში მდებარე ორბელიანების ისტორიული სასახლე მოიაზრება. არანაკლებ საინტერესოა შენობის უახლესი ისტორიაც — ცოტა ხნის წინ მის მთავარ ფლიგელში აშშ-ს საელჩო იყო განთავსებული, მას მერე კი, ავთანდილ დემეტრაშვილის კონსტიტუციონალიზმის ცენტრი. დემეტრაშვილს შენობა დააცლევინეს, მისი სარეკონსტრუქციო სამუშაოები კი სამშენებლო კომპანია „არტესს“ ჩააბარეს. რამდენიმე დღის წინ ნარმანიას სამინისტრომ სააკაშვილის ხელისუფლებასთან დაახლოებულ კომპანიას ხელშეკრულება შეუწყვიტა. ცნობისთვის, „არტესი“ ისეთი პროექტებითაა ცნობილი, როგორიცაა ქუთაისის ცენტრალური მოედნის, ახალციხეში რაბათის ისტორიული ძეგლის, თბილისში აღმაშენებლის გამზირის, კალაუბნის, ზაარბრუკენის მოედნის, ცენტრალური რკინიგზის საავადმყოფოს, ასევე მცხეთის ისტორიული უბნების, სიღნაღის, ბორჯომის ბალნეოლოგიური სანატორიუმის რეაბილიტაცია... გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე, კულტურის სამინისტრომ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2009-2010 წლებში „არტესს“ 3 850 000 ლარი გამოუყო, რაც საცურაო კომპლექს „ოლიმპიკის“ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დაიხარჯა. ცოტა ხნის წინ, „არტესი“ კიდევ ერთ სკანდალში გაეხვია — ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ოლიმპიური კომიტეტის ექსხელმძღვანელმა და კომპანიის მოწვეულმა კონსულტანტმა გია ნაცვლიშვილმა, ასევე ამ კომპანიის დირექტორმა ზაზა კაპანაძემ დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულის ლეგალიზების მიზნით, შპს „არტესიდან“, დივიდენდის სახით, დიდი თანხა გაიტანეს და მისთვის კანონიერი სახის მისაცემად, მათ მიერვე დაფუძნებულ შპს „ივენტ ჰოსპიტალ მენეჯმენ გრუპში“ შეიტანეს ანუ მათ ბრალად თბილისის განვითარების ფონდის კუთვნილი 4 მილიონი ლარის მითვისება ედებათ. „არტესთან“ დაკავშირებული ახალი სკანდალი კი 2 სექტემბერს გასკდა, როცა ნარმანიას სამინისტრომ კომპანიას პრეზიდენტის რეზიდენციის რეაბილიტაციის ხელშეკრულება დროზე ადრე შეუწყვიტა. ამ თემაზე თავად მინისტრის, დავით ნარმანიას ბოლო განცხადება და არგუმენტი ასეთია: **„ახალი პრეზიდენტი დროებით, თავის ადმინისტრაციასთან ერთად, სახელმწიფო კანცელარიაში გადავა. როცა ახალი რეზიდენციის რეაბილიტაციის პროექტი გადმოვიბარეთ და მუშაობაში დაცვის სპეციალური სამსახური ჩავრთეთ, პროექტის მოდიფიცირება გახდა აუცილებელი, რაც გარკვეულ დროსთანაა დაკავშირებული. „არტესი“ ნაკისრ ვალდებულებას ვერ ასრულებს და ვერც რეკონსტრუქციის დასრულებას მოასწრებს არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე. კომპანიას სახელმწიფო ბიუჯეტიდან 16 მლნ ლარი უკვე მიღებული აქვს. ინვენტარიც ნაყიდია, სამუშაოებიც დაწყებულია, მაგრამ კომპანიას აღებულ თანხაზე ნაკლები სამუშაო აქვს შესრულებული“!**

მინისტრს კომპანია „არტესის“ ამჟამინდელი დირექტორი გამოეხმაურა. ნარმანიას ბრალდებებს **მალხაზ ალავიძემ** სპეციალურად ათონელის ქუჩიდან უპასუხა და განაცხადა, რომ სასამართლოში ჩივილს აპირებს: **„ჩვენ არაფერი, შეთანხმების არც ერთი მომენტი არ დაგვირღვევია — როგორც ხელშეკრულებით გვეკუთვნოდა, ყველაფერი ისე გავაკეთეთ. მშენებლობის სრული პროექტი რომ იცვლება, ცოტა მეც ხომ უნდა შემიწყონ ხელი?! ამიტომ ვაპირებთ სასამართლოში სარჩელის შეტანას. კი არ გვგონია, ვიცით, მართლები ვართ და უკვე კოლოსალური სამუშაო გავწიეთ!“** როგორც აღშფოთებულმა მალხაზ ალავიძემ განმარტა, კომპანიას მილიონნახევარი ლარის საბანკო გარანტია აქვს აღებული და ხელშეკრულების ასე უეცრად გაწყვეტა „არტესს“ დიდ ფინანსურ პრობლემებს შეუქმნის. მალხაზ ალავიძემ კომპანია მიმდინარე წლის 28 იანვარს 1,3 მლნ დოლარად შეისყიდა. ამ დროისთვის, ალავიძისთვის ცნობილია, რომ ახალმა კომპანიამ სამუშაო პირველ მაისს უნდა დაასრულოს. „არტესს“ კი ამავე სამუშაოს დასასრულებლად ვადა პირველ ნოემბრამდე ჰქონდა. ინფრასტრუქტურის სამინისტრო საბოლოო გადაწყვეტილებას 10 დღის ვადაში გვაცნობებს. სამაგიეროდ, ნარმანია კითხვაზე, რა ბედი ელის ავლაბრის რეზიდენციას, მარტივად პასუხობს — ამის გადაწყვეტა ჩემს კომპეტენციაში არ შედისო. პრინციპში, ასეცაა, თუმცა ეს საკითხი ვის კომპეტენციაშიც შედის, ამ კითხვას ვერც ისინი პასუხობენ. მთავრობის კანცელარიის უფროსი **მაია ცქიტიშვილი** აცხადებს, რომ ამ თემაზე მთავრობას ჯერ არ უმსჯელია: **„მთავრობა მომავალში იმსჯელებს ავლაბრის რეზიდენციის შემდგომ დატვირთვაზე — ჯერჯერობით, კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული არ არის, საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ კი საზოგადოებას აუცილებლად ეცნობება“. „ვერსია“** მთავრობის კანცელარიის კიდევ ორ წარმომადგენელს, ნონა ყანდიაშვილსა და მანანა თოქმაჯიშვილსაც ესაუბრა, თუმცა მთავრობისა და პრემიერის ჩანაფიქრის შესახებ არც მათ იციან.

სამაგიეროდ, ჩვენთვის რამდენიმე არაოფიციალური ვარიანტი ხდება ცნობილი. ჭორის დონეზე მიდის საუბარი, თითქოს ავლაბრის რეზიდენციაში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი უნდა განთავსდეს. ხოლო ამ იდეას პრემიერ ივანიშვილთან დაახლოებული ხელოვანები ლობირებენ; მეორე ვერსიით, ავლაბარში „პრეზიდენტ ჰოტელის“ მშენებლობაა დაგეგმილი, რაც სხვათა შორის, ევროპულ ქვეყნებში აპრობირებული ტრადიცია და ტურისტებისთვის მიმზიდველი, კომერციულად გამართლებული პროექტი ყოფილა; მესამე ვარიანტი კი ექსკლუზიურად „ვერსიას“ „არტესის“ ექსკონულტანტმა გია ნაცვლიშვილმა გაუმხილა. ჩვენი ვერსიების დაზუსტებას სხვადასხვა წყაროსთან შევეცადეთ და რამდენიმე საინტერესო დეტალიც გავარკვიეთ. დეპუტატმა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილმა ხელმძღვანელმა ირმა ნადირაშვილმა ავლაბარში „პრეზიდენტ ჰოტელის“ წამოჭიმვის იდეა სულაც არ გამორიცხა: **„უკაცრავად, ჩვენ ძალიან უცნაური მთავრობა გვყავს, უცნაური გემოვნებით: მათ არ მოსწონთ პარლამენტის ახალი შენობა, შუშის ხიდის დანგრევას აპირებენ და პრეზიდენტის სასახლის სასტუმროდ გადაკეთება უნდათ — ამ თემაზე სხვა არც ინფორმაცია მაქვს, არც კომენტარი“.**

კიდევ უფრო საინტერესო ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელისა და კომპანია „არტესის“ მოწვეული ექსკონსულტანტის, გია ნაცვლიშვილის განცხადება აღმოჩნდა: **„„არტესთან“ არავითარი კავშირი აღარ მაქვს — იქ კონსულტანტად ვმუშაობდი, ხოლო დამფუძნებლები, რომლებიც ჩემი მეგობრები იყვნენ, დიდი ხანია წამოვიდნენ ამ კომპანიიდან. ეს დაახლოებით 8 თვის წინ მოხდა. არც მე და არც ჩემს მეგობარს, ზაზა კაპანაძეს ამ კომპანიასთან არავითარი შეხება აღარ გვაქვს. შესაბამისად, არც საჩივარი შეგვაქვს და არც ალავიძის საჩივარს ვიზიარებთ ამ საქმესთან დაკავშირებით. თუ მალხაზ ალავიძე ჩივის, რომელიც „არტესის“ ახალი დირექტორი თუ მფლობელია, ეს უკვე მისი საქმეა და ჩვენ არანაირად არ გვეხება. ასევე, ვერანაირ შეფასებას ვერ გავაკეთებ „არტესისთვის“ ამ პროექტის ჩამორთმევის პოლიტიკურ მოტივებზე. რაც შეეხება ავლაბრის რეზიდენციის შენობის ფუნქციას, ვიცი, რომ მანდ ახალი პრეზიდენტი ჩვეულებრივ უნდა დამჯდარიყო. თუმცა იმასაც გეტყვით, რომ ვიდრე „არტესში“ ვმუშაობდი, გაჟღერდა ინფორმაციაც, რომ რეზიდენციის შენობაში საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა გადასულიყო“.**



# „გეგმა ასეთია... მაგრამ, ივანიშვილი მეორედ მოსვლას ვერ შეძლებს!“

## როგორ დასასრულს უწინასწარმეტყველებს ქართველ „დონ კორლეონე“ ბიძინა ივანიშვილს და „ფეესბეს“ რა გეგმას შიფრავს გივი თარგამაძე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ნაციონალური მოძრაობა ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციას გამოეხმაურა. პარლამენტის ტრიბუნაზე, პარტიის ცენტრალურ ოფისში და სპეცბრიფინგებზე, პრემიერის ციტატების ნაციონალური განმარტებები ისმოდა. მათ შორის, ერთ-ერთი გამორჩეული კი, ცნობილი „რევოლუციონერი“ დეპუტატი გივი თარგამაძე იყო, რომელმაც შს სამინისტროს რეიდებისა და ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარების შეფასების შემდეგ, პოლიტიკური მოვლენების შეფასება „ვერსიასთან“ განაგრძო.**

— **ბიძინა ივანიშვილმა თქვა, გიგა ბოკერიამ შემომითვალა, რუსეთის თემაზე შენთან პრეტენზია აღარ მაქვსო. ალბათ, ბოლო დროს, თქვენც გსმენიათ შეფასებები, რომ საქართველოში ე.წ. პრორუსული პოლიტიკა ლეგალური გახდა. ასეა?**

— ვერავინ გაიგო, ეს რას ნიშნავს — ვერც მე და ვერც ბოკერიამ. ბოლო დროს, პრემიერმა ბოდვებს მოუხშირა, ეტყობა, ჩაბარგების პროცესშია. პრორუსულ პოლიტიკაზე საუბარი კი სრულიად ბუნებრივია. ორი დღის წინ სომხეთმა გადაწყვიტა, საბაჟო კავშირს შეერთებოდა, რაც ე.წ. ევრაზიული კავშირის საფუძველია, მეორე დღეს კი, ჩვენი პრემიერი აკეთებს განცხადებას ევრაზიულ კავშირში შესვლაზე. ეს შემაშფოთებელი და დასაფიქრებელია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მან რუსებს კოჭი გაუგორა, მაგრამ მოქმედება სიტყვის იქეთ არ წავა — ის ხომ ცოტა ხანში პრემიერიც აღარ იქნება. შესაძლოა, რაღაც ისეთ ვარიანტს ათამაშებს, მე კი მინდა, მაგრამ ველარ მოვასწრებო. ეს საუკეთესო შემთხვევა იქნება. დღეს ქვეყანა სავსეა „ფეესბეშნიკებით“ — თბილისში, თვით რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის, ან რომელიმე სახელისუფლო რგოლის კუთვნილი ნომრიანი, დაჯავშნული ავტომანქანები გადაადგილდება. იმედია, ვიღაცის სტუმრები არიან და არა „საქმეზე“ ჩამოსული ხალხი...

— **ეს თქვენი კომპრომატია ვინმეს წინააღმდეგ?**

— უბრალოდ, შეშფოთებას გამოვთქვამ... ამ რუსულ მანქანებს ჩვენი პატრულის მანქანები დააცილებენ. ისინი ოფიციალური სტუმრები რომ ყოფილიყვნენ, ჩვენც გაგვაგებინებდნენ. თუ კერძო სტუმრები არიან და პატრულის მანქანები დაყვება, უმახინჯესი მოვლენაა, მაგრამ კიდევ არა უშავს, მთავარია, ამ მანქანებში ის ხალხი ხომ არ ზის, ვინც საქართველოზე მუშაობს.

— **ივანიშვილმა თქვა, თუ გიორგი მარგველაშვილი ვერ გაიმარჯვებს, პოსტიდან უფრო მალე წავალო. ამას ელოდებით?**

— ამ ფრაზით მან, ალბათ, მარგველაშვილს მხარი დაუჭირა. ამ კაცს თუ არ აირჩევთ, საბოლოოდ გავიბუტებიო.

**ფაქტია, ივანიშვილი კიდევ ერთხელ დაბრუნების შანსს იტოვებს. თავიდანვე ვფიქრობდი, რომ რაღაც მსგავსს გააკეთებდა, როცა საკუთარ შესაძლებლობებს ამოწურავდა: დატოვებდა მთავრობას და ნებისმიერი ოლიგარქისთვის სასურველ მდგომარეობაში გადაინაცვლებდა. ყველა ქვეყნის ყველა ოლიგარქს სწორედ ეგ უნდა — შუშის კოშკში იჯდეს, პასუხს არაფერზე აგებდეს და პროცესებს „დონ კორლეონესავით“ მართავდეს. იგივე სურს ივანიშვილსაც — ქართველი „დონ კორლეონეობა“, მაგრამ ეს ჯერ არავის გამოუვიდა! ეს უნდოდა პატარკაციშვილს, ბორის ბერეზოვსკისაც...**

— **ორივემ ძალიან ცუდად დაამთავრა. ამ შედარებით რისი თქმა გსურთ?**

— იმას კი არ ვამბობ, რომ ივანიშვილიც მათსავით დაამთავრებს, უბრალოდ, მმართველობის ასეთი ფორმა არსად შედგა! ეს არც ქართული ოცნება იყო, არც რუსული, არამედ — ბიძინას ოლიგარქიული ოცნება, რომელიც ასე გასხივოსნებული დარჩება... აშკარაა, კაცს თავისი მთავრობის განწირვა უნდა, თუნდაც იმ კანდიდატურებიდან გამომდინარე, ვინც მომავალ პრემიერად განიხილება. როცა მთავრობა ფიასკოს საბოლოოდ განიცდის, შემდეგ ხალხმა ბიძინას უნდა დაუძახოს, დაბრუნდიო. ისიც ერთხელ კიდევ დაბრუნდება, მეტჯერ — არა მგონია და ამით საბოლოოდ მოიხსნის პასუხისმგებლობას, აღარანაირ ამპლუაში აღარ გადავა და პარიზში წავა, თავის ფულიანად!

— **რა საოცრად დაგიგეგმავთ ივანიშვილის ცხოვრება — მის გეგმებში ასე დარწმუნებული რატომ ხართ?**

— ჩემი აზრით, მას ყველაფერი სწორედ ასე წარმოუდგენია, თუმცა არ გამოუვა და მეორედ მოსვლასაც ვერ შეძლებს! მან ისიც კი ვერ მოახერხა, მისი ეშინოდეთ, ვერც ქარიზმატულ ლიდერად ჩამოყალიბდა, ვერც ქვა ქვაზე დადო, რომ ვინმეს მოენატროს. მის გუნდში კი დეზინტეგრაციული პროცესი იმ წამსვე დაიწყება, როგორც კი ივანიშვილი წავა, ამიტომ მისი ოლიგარქიული ოცნება განუხორციელებელია!

— **წინ საპრეზიდენტო არჩევნებია და ფავორიტი სამეულის ვინაობაც ცნობილია. როგორია თქვენი პროგნოზი და რატომაა ამ არჩევნებში მეორე ადგილი პირველზე მნიშვნელოვანი?**

— ჩვენ პირველი ადგილისთვის ვიბრძვით! პარტია ასეთ რბოლაში იმედის გარეშე თუ მონაწილეობს, არათუ რბოლიდან, საერთოდ პოლიტიკური სპექტრიდან ამოვარდნისთვისაა განწირული. ჩვენი პროგრამა-მაქსიმუმი გამარჯვებაა, მაგრამ ყოველთვის არსებობს პროგრამა-მინიმუმი — მეორე ადგილი, რომელიც განსაზღვრავს, ვინაა რეალური ოპოზიცია ქვეყანაში.

— **მეორე ადგილზე ნინო ბურჯანაძე რომ გავიდეს?**

**— აქტიურია განხილვა ნინო ბურჯანაძის ფიგურის და მისი პირველ, თუ მეორეადგილოსნობის შესახებ — ეს ძალიან ძველი „კაგებეშნიკური“ ხრიკია. ვაღიარებ, კარგად ორგანიზებულ პროცესთან გვაქვს საქმე. დარწმუნებული ვარ, „ფეესბეს“ წარმომადგენლები ნინოს ამაში მაგრად ეხმარებიან. ხრიკი იმაში მდგომარეობს, ყველა დააჯერონ, თითქოს ის, რაც ნინოსთვის სასურველია, უკვე რეალურიცაა. ვითარებაც ხელს უწყობთ — ივანიშვილი უკვე მიდის, მარგველაშვილი კი იმდენად უსახურია, ბურჯანაძის გამარჯვების დაჯერება რეალური ხდება. თან, ისიც რეალურად ჟღერს, თითქოს რუსებმა ბიძინას სთხოვეს ან ცოტა „მიაწვნენ“, თუ მაინც მიდიხარ, ამ კაცს ნუ დაგვიტოვებ, ბურჯანაძემ გაიმარჯვოს, ბარემ ჩვენიაო. თითქოს უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია და ბიძინასაც არ ეწყინება, ხალხმა ბურჯანაძეს ხმა რომ მისცეს. ეს ბურჯანაძის ჩანაფიქრია ისევე, როგორც „ოცნებიდან“ მის პარტიაში მასობრივი გადასვლები — არც ერთი ეს შემთხვევა რეალურად არ დადასტურდა.
ეს არის მცდელობა, შექმნან მითი.**

შესაძლოა, ამით ბურჯანაძემ რამდენიმე პროცენტი წაიმატოს-კიდეც, თუმცა ჩვენ ბევრად მეტი ელექტორატი გვყავს, ვიდრე მას. ბურჯანაძის ზედა ზღვარი 20%-ია, მე კი დასაბუთებული იმედი მაქვს, რომ ჩვენ მეტს ავიღებთ და მეორე ადგილზეც გავალთ. მით უმეტეს, დარწმუნებული ვარ, საქართველოში პუტინის პარტია ვერ გაიმარჯვებს!

— **ამდენი ვისაუბრეთ ბურჯანაძეზე. იმაზე კი, რომ ბაქრაძეს პირველ ადგილზე გასვლის შანსი აქვს, არაფერი გითქვამთ.**

— როგორ არა, რეალური შანსები გვაქვს და პროცესი დინამიკაშია. ბევრი რამ იცვლება, წინ ჯერ კიდევ 2 თვეა. ხშირ შემთხვევაში, ამ ცვლილებების ინიციატორი თავად პრემიერია, თავისი გააზრებული თუ გაუაზრებელი განცხადებებით. ჩვენ კი პოზიციების აღდგენისკენ ვართ მოწოდებულნი.

— **თუმცა ხალხი ტაშს უკრავს განცხადებებს, რომ 27 ოქტომბერს, მარგველაშვილის გამარჯვების შემთხვევაში, კოაბიტაცია დამთავრდება. მერე როგორი იქნება თქვენი პოლიტიკური ბედი?**

— ასეც არაა. ჩვენ საზოგადოების მხოლოდ აქტიურ ნაწილს ვხედავთ. უფრო ფუნდამენტურ კვლევებში კი ხალხის პრიორიტეტები უცვლელია — პირველ ათეულში ე.წ. სამართლიანობის აღდგენა კი არა, ისევ სამუშაო ადგილები, საარსებო მინიმუმი და მსგავსი საკითხებია.

— **ანუ ხალხს თქვენ დროსაც შიოდა და ახლაც შია.**

— ბუნებრივია, უფრო სწორად, სამწუხაროა... ახლა მაინც დარწმუნდება ყველა, რომ ადამიანს 6 მილიარდი აქვს, თუ 106, ქვეყნის განვითარების ტემპს არ განსაზღვრავს. ეს ყველაფერი მარწმუნებს, რომ პერსპექტივა ისევ გვაქვს და ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე ვიქნებით.

— **თქვენც ჩაგითრიათ კოაბიტაციამ — „რუსეთის დროშიანებს“ სულს რომ ხდიდა, ის გივი თარგამაძე სად არის?**

— სულის ამოხდას რაც შეეხება, ამაზე ისევ დასტურ ვარ — ვისაც ამ ქვეყანაში რუსული დროშების ფრიალი უნდა, მათი მოღალატური სულის ამოხდას ახლაც ხელს მოვაწერ!

— **ე.ი. არც რევოლუციური უნარ-ჩვევების გახსენება დაგჭირდებათ უახლოეს მომავალში?**

— ვფიქრობ, ჩვენი ყველაზე დიდი მიღწევა, რა საოცრადაც უნდა ჟღერდეს ჩემგან, ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება იყო. ყველაფერს გავაკეთებთ ამ ციკლის გასაგრძელებლად და ძალიან არ მინდა, ისევ ქაოსში დაბრუნება. კარგად ვიცი, ამ ყველაფრის თავიდან აწყობა რა ძნელია, ამიტომ თუ ქვეყანა დაშლისა და დაღუპვის საფრთხის წინაშე არ დადგა, მკვეთრი მოქმედებები საჭირო არ იქნება. თუ ამ საფრთხის წინაშე დავდგებით, არის რაღაც წითელი ზღვარი, რომლის მერეც სამშობლოს უნდა უშველო — ჩვენც ხომ საქართველოს ჯარისკაცები ვართ!

## ვერსიანიუსი

### ბურჯანაძე ივანიშვილს პოლიტიკაში დარჩენას ურჩევს



საქართველოსთვის იქნება ძალიან კარგი ბურჯანაძე პრეზიდენტად და ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრად, — აცხადებს პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე: **„არ მგონია, ვინმე ელოდა, რომ ბიძინა ივანიშვილი იმას იტყოდა, მე, სინამდვილეში ბურჯანაძეს ვუჭერ მხარს, მაგრამ მარგველაშვილი ტყუილად დავაყენეო. ეს უბრალოდ, არასერიოზულობა იქნებოდა. მთავარია, არჩევნები ჩატარდეს სამართლიანად და დემოკრატიულად. ასეთ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, პირველ ტურში იქნება თუ მეორეში, აუცილებლად გავიმარჯვებ“.**

ბურჯანაძე იმასაც აცხადებს, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში, შეეცდება, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან არ წავიდეს: **„ვწუხვარ, რომ ბატონ ბიძინას ეს განწყობა აქვს. ბუნებრივია, ჩვენ ძალიან ვაფასებთ მის წვლილს, პირველ ოქტომბერსა და ბევრ გაკეთებულ საქმესთან დაკავშირებით. პატივი უნდა ვცეთ მის არჩევანს, თუმცა შევეცდები, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, დავარწმუნო, გარკვეული პერიოდი დარჩეს პოლიტიკაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი წასვლით სერიოზული პრობლემები იქნება ქვეყანაში, თუმცა მათ თავს გავართმევ. ამ ფონზე, საზოგადოება არჩევანის გაკეთებამდე კარგად უნდა დაფიქრდეს და ვფიქრობ, ეს არჩევანი არ იქნება მარგველაშვილი“.**

პრეზიდენტობის კანდიდატი ევრაზიის კავშირის შესახებ ივანიშვილის განცხადებასაც გამოეხმაურა: **„არ დამრჩენია შთაბეჭდილება, რომ ივანიშვილი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ევრაზიის კავშირში გაერთიანებაზე. ყველა კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული იქიდან გამომდინარე, რა აწყობს და რა არა საქართველოს“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

### შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო



შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო. უწყების ცნობით, შესაბამისი ბრალდებით, 20 წლის პირი, ბათუმში დააკავეს: **„ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული ბადრი ქ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით ბათუმში დააკავეს. სამართალდამცველებმა ბადრი ქ. მემედ აბაშიძის და ზვიად გამსახურდიას ქუჩების კვეთაზე დააკავეს. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას რევოლვერის ტიპის ხელნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღი და სამი საბრძოლო ვაზნა ამოიღეს“.**

სამინისტროში განმარტავენ, რომ გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე, სსსკ-ს 236 მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

*„ვერსიანიუსი“*



## სალომე ზურაბიშვილის ინტერესებს საია დაიცავს

საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაციასთან დაკავშირებულ დავაში სალომე ზურაბიშვილის ინტერესებს სასამართლოში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დაიცავს. საია-ს ინფორმაციით, ორგანიზაციამ სალომე ზურაბიშვილის სახელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ცესკო-ს თავმჯდომარის 2013 წლის 64/2013 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე, რომლითაც სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე უარი ეთქვა. საია მიიჩნევს, რომ ცესკო-ს თავმჯდომარის განკარგულება დაუსაბუთებელია: **„განკარგულება ეფუძნება საარჩევნო კოდექსის მე-3 მუხლის „ა. ბ“ ქვეპუნქტს, რომელიც ადგენს, რომ პასიური საარჩევნო უფლება (საქართველოს მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად) არა აქვს იმ პირებს, რომლებსაც ეს უფლება შეზღუდული აქვთ, საქართველოს კონსტიტუციით და კანონით. ცესკო-ს თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 11 პუნქტი, რომელიც ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს უკრძალავს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავებას, სწორედ ის კონსტიტუციური ნორმაა, რაც პირებს (ამ შემთხვევაში ორმაგი მოქალაქეობის მქონე ადამიანებს) პასიურ საარჩევნო უფლებას უზღუდავს“.**

ორგანიზაციაში განმარტავენ, რომ სინამდვილეში, კონსტიტუციის 29 მუხლის 11 პუნქტი საერთოდ არ არეგულირებს მოქალაქის, მათ შორის ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის მიერ, პასიური საარჩევნო უფლების რეალიზების საკითხს. რასაც კონსტიტუციის 29-ე მუხლის 11 პუნქტი ეხება, არის ის, რომ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს, უკრძალავს სამი უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებას: **„ეს აკრძალვა არ არის იმდენად ფართო, რომ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს ართმევდეს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატად ყოფნის უფლებას. კანონმდებელს, რომ ამგვარი განზრახვა ჰქონოდა კონსტიტუციის 29-ე მუხლის 11 პუნქტში პირდაპირ ჩაწერდა, რომ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს არა მხოლოდ ეკრძალებათ პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავება, არამედ ამ თანამდებობებზე კენჭისყრაც კი. კონსტიტუციის 29 მუხლის 11 პუნქტი საერთოდ არ აწესრიგებს საქართველოს მოქალაქის პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობას. ეს კონსტიტუციური დებულება, მისი სიტყვასიტყვითი შინაარსის გათვალისწინებით, არ ვრცელდება საარჩევნო პროცესზე. კონსტიტუციის 29 მუხლის 11 პუნქტით დადგენილი აკრძალვა მოქმედებას დაიწყებს იმ მომენტიდან, როდესაც ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი მოიგებს საპრეზიდენტო არჩევნებს. ასეთ შემთხვევაში ფიცის დადების მომენტისთვის პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩეულმა პირმა უარი უნდა თქვას სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე. კონსტიტუციური დებულება, რაც შეზღუდვას უწესებს საპრეზიდენტო არჩევნებში მოქალაქის პასიურ საარჩევნო უფლებას, იკითხება არა კონსტიტუციის 29-ე მუხლის 11 პუნქტში, არამედ კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტში. ეს უკანასკნელი დეტალურად განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რასაც პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს. კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტი ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს არ უკრძალავს საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრის უფლებას“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

# „ერთ ფაქტს გეტყვით... შეიძლება, არც ღირს გახმაურება, მაგრამ ჩანს, პოლიტიკოსი ვერ გავხდი“



## ვის მოიაზრებს პრემიერად, როგორ აპირებს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას და რა გეგმები აქვს პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილს

რუსუდან შელია
557-100-768

**4 სექტემბერს პრემიერ-მინისტრი ჟურნალისტებს შეხვდა. ბიძინა ივანიშვილმა მედიის წარმომადგენლებთან საუბარი საპრეზიდენტო არჩევნებისა და ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებით დაიწყო. მისი განცხადებით, ხელისუფლება არც ერთი კანდიდატის მიმართ ადმინისტრაციულ რესურსს არ გამოიყენებს, რაც შეეხება ეკონომიკურ მაჩვენებელს, პრემიერის განცხადებით, ეკონომიკური ვარდნის რეალური მიზეზი წინა ხელისუფლების არასწორი პოლიტიკაა. შესავალი სიტყვის შემდეგ ივანიშვილმა ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.**

— **თქვენი ღია წერილი იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ პრემიერის თანამდებობაზე შემცვლელი უკვე შერჩეული გყავთ. ვინ იქნება „ძალიან საინტერესო“ პიროვნება, რომელზეც მიმართვაში მიანიშნებთ და რომელსაც თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ პარლამენტს შესთავაზებთ? ამასთან, სამოქალაქო სექტორში გადასვლის შემდეგ ექსპერტთა კლუბს ჩაუდგებით სათავეში, არასამთავრობო ორგანიზაციას დააარსებთ თუ თქვენგან, მთავრობის ფარულად, კულისებიდან მართვას უნდა ველოდეთ?**

— რა თქმა უნდა, უკვე ვიცი, ვინ იქნება ჩემი შემცვლელი და ისიც ვიცი, როგორ უნდა დავეხმარო საზოგადოებას განვითარებაში, თუმცა ამაზე საუბარი, ჯერჯერობით, ნაადრევად მიმაჩნია. გაძლევთ გარანტიას, რომ მთავრობა არაკორუმპირებული იქნება და მას საზოგადოებასთან ერთად, მუდმივად გავაკონტროლებ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფარულ მმართველად ჩამოვყალიბდები. პოლიტიკიდან ჩემი წასვლის შემდეგ, გუნდს ექნება საშუალება, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე მეტი პასუხისმგებლობა აიღოს. სხვათა შორის, არამარტო საზოგადოება, კოალიციის წევრებიც შფოთავენ — ბევრი განიცდის, მეტიც, ბევრს არ მოსწონს ჩემი გადაწყვეტილება, მაგრამ ამ საკითხზე პოლემიკას დღემდე ვაგრძელებთ. ჯერ ვერც ერთმა მათგანმა ვერ დამისახელა ერთი მინუსიც კი, მათ შორის, ვერც დავით უსუფაშვილმა, რომელიც ჩემი წასვლის შემდეგ შეიძლება ქვეყანამ მიიღოს. თანაც, როგორც გითხარით, არსად მივდივარ. უფრო რთულ ნაწილში, საზოგადოებრივ სექტორში გადავდივარ. რაც შეეხება კულისებიდან მართვის ალბათობას, რატომ უნდა მქონდეს ამის სურვილი? თუ მართლაც ამისკენ მივისწრაფვი, ამიხსენით, პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილებას რატომ მივიღებდი? შეგახსენებთ, პოლიტიკაში სწორედ იმ პერიოდში შემოვედი, როცა ყველაზე საშიში პროცესები მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, არაფრის შემშინებია და ნაციონალურ მოძრაობას საკუთარი სიცოცხლის ფასად დავუპირისპირდი. გეკითხებით, ახლა რისი უნდა მეშინოდეს? კულისებიდან მთავრობის მართვას ისინი ცდილობენ, რომლებიც ლიდერობას ვერ ახერხებენ, მე კი ეს მოვახერხე.

— **ოპონენტების არგუმენტი არის ის, რომ პოლიტიკიდან წასვლით საზოგადოების წინაშე აღებული პასუხისმგებლობის თავიდან აცილება გსურთ. ის მაინც გაგვიმხილეთ, მინისტრთა კაბინეტიდან შეარჩევთ ახალ პრემიერს თუ როგორც ითქვა, ამ თანამდებობაზე ლევან ვასაძეს ვიხილავთ?**

— პოლიტიკიდან მივდივარ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი წასვლის შემდეგ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე პასუხს არ ვაგებ. ვინ იქნება მომავალი პრემიერი, ამას მომავალში გავამხელ, თუმცა ლევან ვასაძეს ამ თანამდებობაზე გამოვრიცხავ. პოლიტიკაში რისი გაკეთებაც შემეძლო, უკვე გავაკეთე. ახლა ჩემი თანადგომა საზოგადოებას სჭირდება. ვფიქრობ, პოლიტიკური ნაწილი დღეს საზოგადოებაზე ბევრად წინ დგას და მეტიც, პოლიტიკური სპექტრი საზოგადოებაზე უკეთესიც კია, თუმცა ამაზე მოგვიანებით უფრო ვრცლად ვისაუბრებ. მანამდე კი იმას გეტყვით, რომ მინისტრთა კაბინეტი არ შეიცვლება. ერთადერთი, რაც ჩემთვის დღემდე გაურკვეველია, სოფლის მეურნეობის სამინისტროა, სადაც არსებულ ვითარებას პროკურატურა დღემდე იძიებს. სხვათა შორის, დავით კირვალიძეს რამდენიმე დღის წინ შევხვდი, რომელიც თვალებში მიყურებდა და კითხვებს ისე მისვამდა. თუმცა მას ვუთხარი, რომ გამოძიების დასრულებას უნდა დაველოდოთ.

— **ითქვა, რომ ნინო ბურჯანაძე ხელისუფლების ალტერნატიული კანდიდატია. რამდენად რეალურია, რომ ნინო ბურჯანაძე, საქართველოს მომავალი პრეზიდენტი შეთანხმების შედეგად გახდეს?**

— პოლიტიკაში დამალული თამაშები ჩემი ხელწერა არ არის. პირიქით, რასაც გუნდთან შიგნით ვლაპარაკობ, შემდეგ ამას საზოგადოებისთვისაც ვასაჯაროებ. კოალიციამ გიორგი მარგველაშვილი საპრეზიდენტო კანდიდატად დაასახელა და ამის მიღმა ფარულ თამაშებზე საუბარიც კი ზედმეტია. ჩემი აზრით, გიორგი მარგველაშვილი პირველივე ტურში, საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგით გაიმარჯვებს. მერწმუნეთ, გიორგი მარგველაშვილის სახით საოცარი პრეზიდენტი გეყოლებათ.

— **თუ მაინც ნინო ბურჯანაძემ არჩევნებში გამარჯვება მოახერხა, ამ შემთხვევაში რა სამოქმედო გეგმა გაქვთ?**

— სხვა სამოქმედო გეგმა არ გამაჩნია. თუ ჩემმა პროგნოზმა არ გაამართლა და მარგველაშვილი პრეზიდენტი ვერ გახდა, ამ შემთხვევაში ყველა გზა ხსნილი მექნება და იმაზე ადრე წავალ პოლიტიკიდან, ვიდრე ამას ვვარაუდობდი. თუ საზოგადოება ჩემს მიერ შეთავაზებული კანდიდატის არჩევაზე უარს იტყვის, ვარაუდი იმის შესახებ, რომ საზოგადოებას ჩემ მიმართ ზედმეტი ნდობა გააჩნია, აბსურდი აღმოჩნდება. საბოლოოდ გამოვა, რომ ჩემი მოღვაწეობის დროც დასრულებულია. მოვლენების ამ სცენარით განვითარების შემთხვევაში ჩემი წერილიც ყირაზე დგება და ამასთან, ჩემი პრეტენზიაც სწორი ანალიზის უნარისა და ხედვების შესახებ, დასრულებული აღმოჩნდება. თუ მართლაც ყველაფერი ასე მოხდა, ჩავთვლი, რომ საზოგადოების წინაშე ვალდებულებები აღარ მექნება და თავისუფალი ვიქნები, თუმცა აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნებში გიორგი მარგველაშვილი გაიმარჯვებს. მართალია, პოლიტიკაში სამშობლოს სიყვარულით მოვედი, მაგრამ 17 წლის ბიჭიც არ ვარ, რომ მხოლოდ ემოციების დონეზე ვიმოქმედო. პოლიტიკაში ჩემი შეგნებით შემოვედი, რადგან ჩავთვალე, რომ ამას ,ჩემს გარდა, ვერავინ გააკეთებდა. რაზეც პირველივე წერილში ვისაუბრე, აბსოლუტურად ყველაფერი გამართლდა და არა მგონია, ახლა შევცდე, თუმცა ვიმეორებ, თუ ჩემი ანალიზი არ გამართლდა, როგორც დათა თუთაშხია ამბობს, სადაც მინდა და როგორც მინდა, იქ ვიცხოვრებ. არავინ იფიქროს, რომ საზოგადოებას თავს ზედმეტად მოვახვევ.

— **მას შემდეგ, რაც თქვენი განცხადება გავრცელდა, საზოგადოების ნაწილს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ვილაცისთვის პოლიტიკურ ავანსცენას ათავისუფლებთ. ამის არგუმენტად ისიც დასახელდა, რომ გიორგი მარგველაშვილი აქტიურ საარჩევნო კამპანიას არ აწარმოებს.**

— ადგილს ვუთავისუფლებ მხოლოდ და მხოლოდ ჩემს გუნდს. მთავრობა და პარლამენტი უკვე არჩეულია და მათ მალე გიორგი მარგველაშვილიც მიემატება. როგორც გითხარით, ახლა საზოგადოებას უფრო ვჭირდები. არავინ იფიქროს, რომ სამოქალაქო სექტორში სასწაულს მოვახდენ, უბრალოდ, მოწიწებულ როლს შევასრულებ და ძალიან აქტიური ვიქნები საზოგადოებისთვის ანალიზის უნარის განვითარების მიმართულებით.

*დასასრული მე-7 გვერდზე*



*მე-6 გვერდიდან*

პოლიტიკაში კი მხოლოდ იმ შემთხვევაში დავბრუნდები, თუ გუნდი ვერ გაამართლებს, მაგრამ მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება და ეს ადამიანებიც იმედებს გაამართლებენ.

— **როცა პოლიტიკაში შემოსვლის შესახებ პირველი განცხადება გააკეთეთ, აღნიშნეთ, რომ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პირობებში ინვესტორები საქართველოში ფულის ჩადებას არ მოინდომებდნენ. ხელისუფლებაში თქვენი მოსვლის შემდეგ ამ მიმართულებით რა შეიცვალა და პირადად თქვენ, როგორც ბიზნესმენი, დღევანდელ ვითარებაში ფინანსებს თუ ჩადებდით?**

— ინვესტიციას, პირადად მე, სიამოვნებით ჩავდებდი და უახლოეს მომავალში ჩავდებ კიდეც. საქართველო ინვესტორებისთვის საკმაოდ საინტერესო ქვეყანაა და, დიდი ალბათობით, საქართველო, შესაძლოა, მეორე დუბაიდ გადაიქცეს. ჩვენ უნიკალური გეოგრაფიული ადგილმდებარეობა გვაქვს.

— **თქვენმა პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ პირადი კაპიტალის 90%-ს ქვეყნის განვითარებას მოახმართ. სამოქალაქო სექტორში გადანაცვლების შემდეგ, რომელზეც არც ისე დადებითი დამოკიდებულება გაქვთ, უკვე იცით, ვინ იქნება თქვენი მოკავშირე?**

— როცა სამოქალაქო სექტორში გადავალ, სულაც არ ვფიქრობ, რომ სასწავლო პროგრამები უნდა დავაფინანსო ან დიდი კორპორაციები უნდა ავაშენო. განსხვავებული წარმოდგენა მაქვს ამ მიმართულებით, თუმცა ამაზე, როგორც უკვე აღვნიშნე, მოგვიანებით ვისაუბრებ.

რაც შეეხება კაპიტალს, დიახ, ჩემი ქონების არანაკლებ 90%-ს საერთო საქმეს მოვახმარ. რაც შეეხება სამოქალაქო სექტორს, დიდი სურვილი მაქვს, ახალგაზრდები გააქტიურდნენ და სახელმწიფო მართვაში მათაც მიიღონ აქტიური მონაწილეობა. სხვათა შორის, პირველი თვეები საკმაოდ რთული გამოვიდა. შეუძლებელი შევძელით, ბეწვის ხიდზე ვიარეთ, რომ ჩვენი ქმედებები ევროპა-ამერიკისთვის გასაგები ყოფილიყო და შიგნით საზოგადოების მუხტი არ დაგვეკარგა. საზოგადოებას 5 წუთში უნდოდა ყველა და ყველაფერი დაგვესაჯა იგივე მეთოდებით. ამით მივიღებდით ახალ უბედურებას. ძალიან რთული პროცესი გავიარეთ. რაც ევროპა-ამერიკას სურდა, აბსოლუტურად საპირისპირო სურდა საზოგადოებას და მოვახერხეთ, რომ ორივეს მხარდაჭერა შევინარჩუნეთ.

ახლა ეს პროცესი დასრულდა და ამიტომაც ჩემი წასვლა აღარ იქნება მავნებელი. აქამდე ძალიან საჭირო ვიყავი და თუ გნებავთ, დავიტრაბახებ, რომ ძალიან ფაქიზად და კარგადაც ვიმუშავე. გამოგვივიდა და თან არ გავაკეთეთ იგივე, რაც წინა ხელისუფლებამ – უწესრიგობით წესრიგის დამყარება არ შეიძლება.

— **რეგიონებში განსაკუთრებით ნათლად ჩანს სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტე. როგორც თვითმმართველობის, ასევე სოფლის მეურნეობის მიმართულებით. როგორ შეიძლება ეს პრობლემა მოგვარდეს?**

— ადგილობრივ თვითმმართველობის ქმედებებში არ ვერევი, რადგან მიმაჩნია, რომ ახლა აისბერგებს უნდა მოვერიოთ და პროცესები თავისთავად დალაგდება. ზოგ რეგიონში განიცდიან, რომ ყველაფერს ისევ ნაციონალები მართავენ ან ახალი კადრები არ მუშაობენ ეფექტურად. ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა ეკონომიკა და უმუშევრობაა, რომელსაც 5 წუთში ვერ მოვერევით. არ არის ცუდი, თუ ნაციონალური მოძრაობის წევრები გამგეობებსა და საკრებულოებში დარჩნენ. ყველაფერი ცენტრიდან არ უნდა იმართებოდეს. ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, ჩვენ ახალ ხარისხიან საკრებულოებსა და გამგეობებს მივიღებთ, რომლებიც ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტენ საკითხებს. ვიცი, რომ რეგიონებში უამრავი ადამიანია განაწყენებული, მაგრამ კანონს უნდა დავექვემდებაროთ. მადლობა მინდა გადავუხადო და არა ბოდიში მოვუხადო, რომ ამ პროცესს გაგებით ეკიდებიან. ბუნებრივია, რთულია, როცა ის ადამიანები, რომლებიც მოქალაქეებს ჩაგრავენ, დღემდე თანამდებობებზე არიან, მაგრამ სხვა საშუალება ჩვენ არ გვქონდა. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი დარღვევით მოვიდა პოსტზე, არ შეიძლება კანონის დარღვევით გავუშვათ თანამდებობიდან. გპირდებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ამ ვითარებას შეცვლის. საზოგადოება მიხვდება, რომ გამგებელმა მათი ნება უნდა შეასრულოს. იმის გამო, რომ ეკონომიკა პრაქტიკულად არ მუშაობს, ჩვენი ეკონომიკის მხოლოდ 10% მუშაობს. 10-ჯერ მეტი უნდა იყოს ერთ სულ მოსახლეზე შექმნილი პროდუქტი. წარმოგიდგენიათ, რამდენი გვაქვს გასაკეთებელი? ჩვენზე ძალიან ბევრია განაწყენებული. მათ შორის — რეგიონებში. ჩვენი ყოფილი თანაგუნდელებიდან ბევრი მახსენებს, აქტიური ვიყავი, მაგრამ დღესაც უმუშევარი ვარო. მინდა, მათ კიდევ ერთხელ განვუმარტო (ბოდიში მოსახდელი არ მაქვს, თორემ ეს არ მერიდება), ყველას ერთბაშად დასაქმება თეორიულადაც კი შეუძლებელიც იყო.

— **ეკომიგრანტების პრობლემა აჭარაში კვლავ აქტუალურია. 2500 ადამიანს უსახლკაროდ დარჩენა ემუქრება. ამასთან, საინტერესოა იპოთეკარების საკითხიც. როგორ აპირებთ ამ ადამიანების დახმარებას?**

— ჩვენ შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებთ, მაგრამ ყველა პრობლემის ერთ დღეში გადაწყვეტა შეუძლებელია. ყველა პრობლემას ძალიან განვიცდი. საკმაოდ ბევრი ვიმუშავე იპოთეკარების პრობლემების შესწავლაზე, მაგრამ რა თქმა უნდა, ყველაფერი ბანკებთან შეთანხმებით უნდა განხორციელდეს. როცა კანონმდებელი გამოდის და მას უფლებამოსილების შესრულებას უზღუდავს, მსგავსი მიდგომა ბიზნესს ანგრევს. თუ საკანონმდებლო ორგანო ჩაერევა თუნდაც გამოსახლების პროცესში, ბიზნესმენები ვერ განვითარდებიან. ეკონომიკის მინისტრი, ფინანსთა მინისტრთან ერთად, გულწრფელად ცდილობს საუკეთესო გამოსავლის მოძებნას, მაგრამ ორივე კატეგორია რთული გადასაჭრელია. არჩევნებამდეც არავის დავპირებივარ, რომ ხელის ერთი მოსმით ყველა იპოთეკარის პრობლემას მოვაგვარებდი. ბანკებისთვისაც საკმაოდ დიდი პრობლემა იქმნება, უამრავი სახლი დაუგროვდათ, რომლის რეალიზაციაც ჭირს. არ შეიძლება, კანონმდებლობა ისე შეიცვალოს, რომ ბიზნესი დავაზარალოთ. ეს სწორედ ინვესტორების გადინებას გამოიწვევს. რაც შეეხება ეკომიგრანტების პრობლემას, ამ საკითხის მოგვარება ჩემს თანაშემწე ირაკლი მელაშვილს დავავალე. მესმის, რომ ამ ადამიანებისთვის მხოლოდ თანათგრძნობა საკმარისი არ არის, მათ რეალური საცხოვრებელი ფართი ჭირდებათ, ამიტომ მაქსიმალურად ვმუშაობთ ამ მიმართულებით.

— **„მეცხრე არხთან“ დაკავშირებით რა ვითარებაა?**

— რამდენიმე დღის წინ სატელეფონო საუბარი მქონდა ია ანთაძესთან, ვასიკო მაღლაფერიძესა და ცოტნე გამსახურდიასთან, რომლებსაც ავუხსენი, რომ ტელევიზიის სააქციო საზოგადოებად გადაკეთება საკმაოდ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მათ ჩემი მტკიცებულებები არ მოისმინეს, ამიტომ ჩემთვის იოლი გზა გამოვძებნე — დავეთანხმე და წარმატებები ვუსურვე. პარალელურად, მათ უნდა დაემუშავებინათ დოკუმენტი, როგორ წარმოუდგენიათ ამ ფორმატით ტელევიზიის მართვა. მსგავსი პროექტი დღემდე მათ ჩემთვის არ წარმოუდგენიათ. ღმერთმა ქნას, გამოუვიდეთ, მაგრამ პირადად მე, მათ წინადადებას საკმაოდ სკეპტიკურად ვუყურებ.

— **თქვენ ხშირად გისაუბრიათ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების შესახებ, ამიტომ საინტერესოა, რას ფიქრობთ ევრაზიულ კავშირზე, მით უმეტეს, სირიის კრიზისის ფონზე, როცა შესაძლოა, რუსეთს საქართველოზე გავლენის მოპოვების სურვილი გაუჩნდეს?**

— ევრაზიული კავშირის შესაძლო ჩამოყალიბების პროცესს ყურადღებით ვაკვირდები და ვსწავლობ. ამ ეტაპზე, ამ მიმართულებით არანაირი პოზიცია არ გაგვაჩნია, თუმცა, თუ პერსპექტივაში ვნახავთ, რომ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიისთვის ეს საინტერესო იქნება, რატომაც არა. რაც შეეხება სირიის კონფლიქტს, იქ მიმდინარე პროცესი გვაშფოთებს. 150 ათასზე მეტი მოქალაქე გარდაიცვალა. ქიმიური იარაღის გამოყენების პრეცედენტიც აღმაშფოთებელია, ამიტომ ამ ქვეყანაში მიმდინარე გაუგებრობა უნდა დასრულდეს.

**სირიასთან დაკავშირებით, ერთ ფაქტს გეტყვით: შეიძლება, არც ღირს გახმაურება, მაგრამ როგორც ჩანს, მე პოლიტიკოსი ვერ გავხდი. მაგალითად, ზურაბ აბაშიძეს თავისმა რუსმა კოლეგამ დაურეკა და შესთავაზეს დახმარება, რომ სირიიდან ჩვენს თანამოქალაქეებს გამოიყვანდნენ, რასაც მივესალმები. ალბათ, კარასინმა დაურეკა. ასეთი განწყობაა რუსეთის მხრიდან და არა ის, რომ დაიპყრონ საქართველო. ჩემი აზრით, რუსეთიც კარგად აცნობიერებს, რაც 2008 წელს მოხდა. ვფიქრობთ, აუცილებლად დავალაგებთ რუსეთთან ურთიერთობას, ურთიერთობას აღვადგენთ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან და ამის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობაც აღდგება. სხვათა შორის, ჩემი რუსეთის აგენტობის საკითხი უკვე ამოწურულია. ბოკერიამაც კი ჩემი თანაშემწის მეშვეობით შემომითვალა, თურმე ჩემთან რუსეთის თემაზე პრეტენზიები აღარ აქვს. რისთვისაც დიდი მადლობა შევუთვალე. კარგია, რომ რუსეთის აგენტობის ბრალდება მომეხსნა.**

— **ცნობილია, რომ ამერიკაში ვიზიტი თქვენივე სურვილით გადადეთ, მაგრამ იმ ფონზე, როცა პრემიერის თანამდებობიდან წასვლას გეგმავთ, ამერიკაში ვიზიტს მოასწრებთ?**

— უახლოეს მომავალში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტს არ ვგეგმავ. პირველი ვიზიტი კი ჩემი სურვილით იმიტომ გადავდე, რომ ქვეყნის შიგნით უამრავი პრობლემა იყო. მინდოდა, ჩვენს უდიდეს პარტნიორთან წელში გამართული ჩავსულიყავი. ძალიან რთული იყო კოჰაბიტაციის პროცესი. დღეს კი ვითარება შეცვლილია, ამერიკელებმა ჩვენი ხელწერა უკვე კარგად იციან. ჩემი თავი შემიძლია შევაქო, რადგან შეერთებული შტატები დავარწმუნე, რომ მთავარი არა პოლიტიკიდან ჩემი წასვლა, არამედ ისაა, რომ გუნდი დასავლურ კურსს არ შეცვლის.

## სამართალი

# „შსს რჩება ყველაზე დიდი ნდობით აღჭურვილ, გამჭვირვალე და საზოგადოების სამსახურში მყოფ უწყებად“

პოლიციის მიერ ბოლო დროს ჩატარებული რეიდების თემა 4 სექტემბერს, ბიძინა ივანიშვილის ჟურნალისტებთან მორიგ შეხვედრაზეც აქტუალური აღმოჩნდა. პრემიერს მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამ ფაქტის შეფასება სთხოვეს. ბიძინა ივანიშვილმა, ჯერ ზოგადად, ირაკლი ღარიბაშვილის მუშაობა შეაფასა და განაცხადა — **„შს მინისტრმა მოახერხა, რომ მიუხედავად ამნისტიის შემდეგ კრიმინოგენული ვითარების დამძიმებისა, პროცესები ეფექტურად მართოს. რაც შეეხება რეიდებს, პოლიცია მოქალაქეებზე არ ძალადობს და ყველაფერი სრულდება კანონიერად.**

**სრული წესრიგია. 14 ათასი პატიმარი გამოვუშვით ციხეებიდან, გავანახევრეთ პატიმრების რაოდენობა. რა თქმა უნდა, აქედან ნაწილი იყო ისეთი, ვინც დაამძიმა კრიმინოგენული სიტუაცია. მოხდა რამე? ნახეთ, როგორ ეფექტურად იმართება, — ამ დროს არავინ ძალადობს მოქალაქეებზე, ყველაფერი სრულდება კანონიერად. პოლიცია არის ხალხის სამსახურში, ამას მე კი არა, მინისტრი ახერხებს“.** შემდეგ კი, ივანიშვილმა მოგვახსენა, რეიდებთან დაკავშირებით კითხვები თუ კიდევ დარჩა ვინმეს, იმედია, ღარიბაშვილი უპასუხოდ არ დატოვებსო.

ღარიბაშვილმაც არ დააყოვნა და მათთვის, ვინც, არაერთი ოფიციალური განცხადების გავრცელების მიუხედავად, მაინც ვერ მიხვდა, რა მიზნითა თუ მიზეზით ატარებს პოლიცია რეიდებს, კიდევ ერთი ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ: **„შსს საჭიროდ მიიჩნევს, საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, დამატებით გააკეთოს განმარტება სამინისტროს მიერ აგვისტოს თვეში განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ.**

**საზოგადოებრივი უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სამინისტროს მიერ აგვისტოში განხორციელდა დამატებითი ოპერატიული და პრევენციული ღონისძიებები, რომელთა შედეგადაც მოხერხდა ათეულობით მძიმე დანაშაულის გამოვლენა და აღკვეთა, მათ შორის, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა, მნიშვნელოვანი რაოდენობის ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება, ნარკოდანაშაულის ფაქტები, განხორციელდა სხვადასხვა მძიმე დანაშაულში სავარაუდო დამნაშავე პირთა დაკავებები.**



**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულის თავიდან აცილებისა და საზოგადოების უსაფრთხოების მიზნით, საჭირო გახდა დამატებითი პრევენციული ღონისძიებების გატარება, იმ კონკრეტულ სიტუაციაში არსებული ოპერატიული ინფორმაციებიდან გამომდინარე, რაც დროის შეზღუდულობიდან და ოპერატიული საჭიროებების გამო არ იძლეოდა საშუალებას, მომხდარიყო საზოგადოების წინასწარი ინფორმირება.**

**რაც შეეხება აღნიშნული ღონისძიებების დროს საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან განცდილ დისკომფორტს, შსს-მ მადლობა გადაუხადა მოქალაქეებს ამ ღონისძიებების დროს პოლიციის მოქმედებათა სწორად გაგებისა და თანამშრომლობისათვის. ამავდროულად, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფების მიერ მუდმივად მიმდინარეობს შსს-ს თანამშრომლების გადაცდომათა მონიტორინგი და პოლიციის წარმომადგენელთა ტრენინგი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.**

**შსს აცხადებს, რომ იგი რჩება ქართული საზოგადოების მიერ ყველაზე დიდი ნდობით აღჭურვილ, გამჭვირვალე და საზოგადოების სამსახურში მყოფ უწყებად“.**

***„ვერსიანიუსი“***

# დევი ხეჩინაშვილი: „სადაზღვევო კომპანიები იძულებით „შეტენილ“ ხარჯებს ველარ აუდიან“

## შეჰყავს თუ არა შეცდომაში დავით სერგეენკოს ბიძინა ივანიშვილი და როგორ უნდა გადაჭრას ხელისუფლებამ „სადაზღვევო პრობლემა“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**სადაზღვევო კომპანიებს ფინანსური პრობლემები ახალი ხელისუფლების უყურადღებობის გამო შეექმნა. 9 თვის განმავლობაში, სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენლები და სადაზღვევო ასოციაციის პრეზიდენტი ხელისუფლებას იმ პრობლემებზე მიუთითებდნენ, რომელთა გამოსწორებაც მარტივად შეიძლებოდა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს, წერილობით პრემიერ ბიძინა ივანიშვილსა და უწყებათაშორისი კომისიის წევრებსაც მიმართეს. ხელისუფლების გულგრილობის გამო, სახელმწიფო პროგრამა „ალფამ“ უკვე დატოვა, ხოლო „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ სერიოზული პრობლემა შეექმნა და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა კომპანიაში დროებითი მმართველი დანიშნა. როგორც იქნა, გადაწყდა, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ამ კომისიისა და სადაზღვევო ინდუსტრიის წარმომადგენლები შევლენ. სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს იმ პრობლემების გადაჭრის მეთოდს, რაც სადაზღვევო სექტორს გამოაცოცხლებს და კომპანიებს საშუალებას მისცემს, კლინიკების მიმართ დაგროვილი დავალიანება დაფარონ. „ვერსიას“ სადაზღვევო ასოციაციის პრეზიდენტი, სამუშაო ჯგუფის წევრი დევი ხეჩინაშვილი ესაუბრება.**



**— ბატონო დევი, რატომ ვერ შეძლეს სადაზღვევო კომპანიებმა ვალდებულებების შესრულება?**

— „ალფასაც“ და „არქიმედესაც“ საერთო პრობლემა ჰქონდა — არც ერთს არ ჰყოფნიდა პრემია თბილისში, რასაც მთავრობა უხდიდა. პრემიაში იგულისხმება ჯანდაცვის სერვისების თვითღირებულება. ხელისუფლება კომპანიებს ამ თვითღირებულებაზე ბევრად ნაკლებ თანხას უხდიდა. ჩემი აზრით, „ალფამ“ სახელმწიფო პროგრამა იმიტომ დატოვა, რომ მისი დამფუძნებელი „ავერსისთვის“, დაზღვევა ძირითადი ბიზნესი არ იყო. დანარჩენი კომპანიები კი მზღვეველები არიან. „ავერსმა“ თქვა, რომ წამგებიან პროგრამაში მონაწილეობას აღარ მიიღებდა. თვეების განმავლობაში, „ალფაც“ და „არქიმედეც“ ატყობინებდა მთავრობას, რომ საკმარისი არ იყო თანხა, რასაც თბილისში, ჯანდაცვის სერვისების დასაფარად უხდიდნენ.

**— ჯანდაცვის სერვისის ღირებულება იმაზე მეტია, ვიდრე სახელმწიფო კომპანიებს უხდიდა?**

— ასეა. კომპანიას დასაზღვევი მოქალაქეების (ვგულისხმობ თბილისელებს), 340 000-კაციანი სია გადასცეს, სინამდვილეში კი, მხოლოდ 290 000 მოქალაქე დაეზღვია. ძალიან ბევრი დააზღვიეს მაშინ, როცა ის სამედიცინო სერვისს უკვე იღებდა. „არქიმედეს“ ტარიფიც რთული იყო, რადგან კომპანიამ სხვადასხვა რისკის მატარებელი სამი ჯგუფი დააზღვია: პენსიონერები, ბავშვები და სტუდენტები. ჯამში, 50 000 სტუდენტი უნდა დაზღვეულიყო. რეალურად, 30 000-ზე ნაკლებია დაზღვეული. „არქიმედე“ 9 თვეა უშედეგოდ იბრძვის, რომ ეს ყველაფერი გააგებინოს მთავრობას.

**— ამ ხნის განმავლობაში ხელისუფლებას ეს პრობლემა არ განუხილავს?**

— ყურიც არავის შეუბერტყავს. ეს არაა მხოლოდ „არქიმედეს“ პრობლემა. 10 თვეა მთავრობას ვეუბნებით, რომ დაზღვევის სექტორში სერიოზული პრობლემაა. განსაკუთრებით რთული ვითარებაა თბილისში, რადგან დედაქალაქში ჯანდაცვის სერვისების მოხმარება და ფასებიც საკმაოდ მაღალია. სამწუხაროდ, სადაზღვევო კომპანიებს თბილისში არ აქვთ ჰოსპიტლები, რომლითაც ფასების კონტროლს შეძლებდნენ. სადაზღვევო მფლობელობაში არსებული ჰოსპიტალი ძირითადი ღუზაა, რომელიც ფასს ზემოთ არ უშვებს, თორემ თბილისში სამჯერ მაღალი ფასებია, ვიდრე რაიონებში. მეორე თემაა ის, რომ მთავრობამ ტენდერის შემდეგ, ყველა პირობა დაარღვია, 20%-ით შეამცირა დაზღვეულების რაოდენობა, 1 000 050 ადამიანის დაზღვევა გაიტანა ტენდერზე, სინამდვილეში კი, მხოლოდ 800 000 მოქალაქეა დაზღვეული. გარდა ამისა, უამრავი პირობა დაამატა, კერძოდ, სოფლის ექიმებისა და სასწრაფოების დაფინანსება, რომელიც სადაზღვევო კომპანიების საქმე არაა. რამდენი ხანია ხელისუფლებას ვეუბნებით, მოგვაშორეთ სოფლის ექიმებისა და სასწრაფოების დაფინანსება. ყველა სადაზღვევო კომპანიას გაუჭირდა, რომელიც თბილისს შეეხო. „არქიმედესთან“ მიმართებაში, პირდაპირ გეტყვით — თუ სახელმწიფო პრემიიდან, პირობითად, 100 ლარი შემოდის, კომპანიას ჯანდაცვის მომსახურებაში 120 ლარი აქვს გასავალი ხარჯის სახით. რა მოგებაზეა საუბარი? იმის გამო, რომ ეს საკითხი აქამდე არავის განუხილავს, იძულებულები გავხდით, პრემიერისთვის, ასევე უწყებათაშორისი კომისიისთვის წერილობით მიგვემართა. როგორც იქნა, მთავრობამ მოგვხედა — სამუშაო ჯგუფი შეიქმნება. პირველად, 9 თვის მანძილზე, ამ თემაზე ჯანდაცვის მინისტრთანაც გვქონდა კომუნიკაცია. რასაკვირველია, მთავრობა ამბობს, რომ პირველ რიგში, სადაზღვევო კომპანიებმა კლინიკების მიმართ არსებული დავალიანება უნდა გაისტუმრონ. დავალიანება უპირობოდ გასასტუმრებელია, მაგრამ თუ სხვა საკითხები არ მოგვარდება, ვალის გადახდა გაგვიჭირდება.

**— რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ სადაზღვევო კომპანიებმა ვალის დაფარვა შეძლონ?**

— სერიოზული ანალიზის გაკეთებაა საჭირო. ან სახელმწიფო პრემია უნდა გაიზარდოს, ან სამედიცინო სერვისები შემცირდეს. აუცილებელია, სახელმწიფო პროგრამას სოფლის ექიმებისა და სასწრაფოების დაფინანსება ჩამოშორდეს. ასევე — ვალების რესტრუქტურიზებაც. სამუშაო ჯგუფი მალე დაიწყებს მუშაობას. იმედია, პროცესი კონსტრუქციულად წარიმართება, რადგან მთავრობისთვის ვალის გასტუმრება და ახალი კლინიკების მშენებლობა პრიორიტეტია. სადაზღვევო კომპანიების მფლობელებმა იციან, რომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ახალი კლინიკების მშენებლობის ვალდებულებაც აქვთ, მაგრამ როდესაც ახალი მთავრობა მოსვლის დღიდან აცხადებს, სადაზღვევო კომპანიები არ „მევასებაო“, რთული ვითარება იქმნება; მეტიც, ამ ფონზე, მთავრობამ დადგენილებაში ცვლილება შეიტანა, რომლითაც უფლება აქვს, სამი თვით ადრე შეტყობინების შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია პროგრამიდან გაუშვას. მაშინ, ამ კომპანიებს გრძელვადიანი ვალდებულებები რატომ აქვთ? სწორედ ამ არასტაბილურმა გარემომ დააზარალა სადაზღვევო კომპანიები. პრემიერის პრესკონფერენციის შემდეგ, დაზღვევასთან დაკავშირებით, ივანიშვილი დეზინფორმირებულია. მას ესმის, რომ პრობლემა არსებობს, ოღონდ სურათი ისე დაუხატეს, თითქოს სადაზღვევო კომპანიები თვითნებურად წყვეტენ სერვისების მიწოდებას. პრემიერმა ისიც თქვა, სახელმწიფო სთხოვს სადაზღვევო კომპანიებს, ის კლინიკები გადმოგვცენ, რომლებშიც დაზღვეულებს ვერ ემსახურებიან, მაგრამ არ თმობენო. ეს აბსურდია. პირდაპირ გეტყვით, ამ 9 თვის განმავლობაში, ჯანდაცვის სამინისტროსთან მხოლოდ ამაზე ვსაუბრობთ. ვამბობთ, რომ კლინიკურ ნაწილში სერიოზული პრობლემები გვაქვს, რაც განსაკუთრებით, მცირემოსახლეობიან რაიონებში არსებულ კლინიკებს ეხება... ყველანაირი წინადადება შევთავაზეთ მთავრობას მათი დისკონტით გამოსყიდვასთან დაკავშირებით — ბევრად ნაკლებ ფასად დავუთმობთ სახელმწიფოს კლინიკებს, ვიდრე მათი მშენებლობა დაჯდა. მეორადი შეთავაზებაც გვქონდა — გამოსყიდვის შემდეგ ამ ფულით დავალიანებას გავისტუმრებთ. დიდი ხანია მინდა, ივანიშვილს შევხვდე. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე. არადა, მის გამოსვლაში გამოჩნდა, რომ ინფორმირებული არ არის და მისი ძირითადი წყარო, აშკარად მინისტრია...

**— რომელიც პრემიერ-მინისტრს რეალურ ინფორმაციას უბლოკავს?**

— არ ვიცი, მაგრამ სერგეენკო ამ პრობლემაში გათვითცნობიერებული უნდა იყოს.

**— გამოდის, ხელისუფლებას აქვს მცდელობა, სადაზღვევო ბაზარზე უხეშად ჩაერიოს და კომპანიები მიზანმიმართულად გააკოტროს?**

— სერგეენკომ, რომელსაც მისი „წინა ცხოვრების“ გამო პატივს ვცემ, ჩვენთან შეხვედრისას თქვა, რომ არც ერთი სადაზღვევო კომპანიის გაკოტრება ან რომელიმე კომპანიის სახელმწიფო პროგრამიდან ჩახსნა მის ინტერესში არ არის. ისიც თქვა, რომ პირობითად, 2 000 000 ადამიანი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაშია დაზღვეული და მისთვის სულ ერთია, ამ ადამიანებს კერძო კომპანია მიაწვდის სამედიცინო სერვისს თუ სახელმწიფო. ამ ფონზე, როგორ ვიფიქრო, რომ სერგეენკოს მზაკვრული გეგმაც აქვს? მინისტრმა თქვა, რომ მზადაა, შეგვხვდეს და ყველა პრობლემაზე ერთობლივად ვიმსჯელოთ. ჩემი პრეტენზია ისაა, აქამდე რატომ არ გავიარეთ ეს საკითხები და რატომ გავამწვავეთ ვითარება? სადაზღვევო კომპანიები იძულებით „შეტენილ“ ხარჯებს ველარ აუდიან, რადგან სოფლის ექიმებისა და სასწრაფოს დაფინანსება სადაზღვევო ხარჯი არ არის! სახელმწიფოსგან დამატებით თანხას სულაც არ ვითხოვთ. აუცილებელია, სადაზღვევო კომპანიებს დამატებითი ხარჯები მოშორდეს და გარწმუნებთ, ისინი ვალის ნელ-ნელა გასტუმრებას შეძლებენ.



## დავით სერგეენკო დათმობებზე წასვლას არ აპირებს

ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს განცხადებით, იაშვილის სახელობის კლინიკის დირექტორთან, თექინ ატიკთან სამომავლო თანამშრომლობაზე საუბარი არ გამოვა. ჯანდაცვის მინისტრსა და კომპანია „უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპის“ წარმომადგენელს შორის საუბარი საქართველოში თურქეთის ელჩის თხოვნით შედგა.

შეხვედრის დროს, თექინ ატიკმა მინისტრს სამომავლო გეგმები გააცნო და აღნიშნა, რომ მის წარმომადგენელს, ნატალია მუჩაიძეს საქართველო-თურქეთის ურთიერთობების ორგანიზაციის წარმომადგენლად ნიშნავს. ჯანდაცვის მინისტრმა კი აღნიშნა, რომ იაშვილის სახელობის კლინიკაში განვითარებული მოვლენები არანაირ კავშირში არ არის საქართველო-თურქეთის ურთიერთობებთან: **„არსებული ვითარება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს განზოგადებული საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ჭრილში. ასევე — კომპანიასთან, რომელსაც თექინ ატიკი წარმოადგენს. ამ ადამიანმა რამდენიმე დღეში დაიმსახურა სამედიცინო პერსონალის სრული, 100%-იანი პროტესტი იმდენად, რომ საფრთხე შეუქმნა არსებულ დაწესებულებაში სამედიცინო სერვისების მიწოდებას. ჩემთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, ბატონო ატიკ, რას ეთანხმებით და რას არა. ჩვენ დავინახეთ, რომ საავადმყოფოს პერსონალი გამოვიდა ეზოში და სამედიცინო პროცესი პარალიზებული იყო. იმას, თქვენ რა ჩაიდინეთ, მონიტორინგის ჯგუფი გაარკვევს. რა შედეგებიც ვნახეთ, ეს არის ცალსახად მიუღებელი და ჩვენ ვერანაირ შორეულ თანამშრომლობაზე ვერ ვისაუბრებთ. თქვენი საქციელით საფრთხის ქვეშ დააყენეთ ამ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული დაწესებულების მუშაობა. ამას არ დავუშვებთ და პასუხისმგებლობას ვიღებთ, რომ საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში სერვისები განვითარდეს უწყვეტად, სამუშაო და სამკურნალო პროცესები იყოს დალაგებული და არა ისეთი კრაზანების ბუდე, როგორადაც თქვენ გადააქციეთ ერთ კვირაში იქაურობა. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ეს მართული იყო თუ არა. მაპატიეთ, მაგრამ უნდა გასწავლოთ, რომ მენეჯერის ფუნქცია, პირველ რიგში ისაა, არ იყოს კონფლიქტი დაწესებულებაში. უნდა შეგეწუხებინათ თავი, შეგესწავლათ ვითარება ადგილზე და თანამშრომლებს მოქცეოდით ადამიანურად“.**

თექინ ატიკმა მომხდართან დაკავშირებით, ჯანდაცვის მინისტრთან მოიბოდიშა და აღნიშნა, რომ კლინიკაში განვითარებული მოვლენების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია მცდარი და ფაბრიკაცია იყო. ატიკის განცხადებით, სწორედ მინისტრზეა დამოკიდებული სამომავლო ინვესტიციების განხორციელება, რაზეც სერგეენკომ უპასუხა: **„თქვენ არჩევანში თავისუფალი ხართ, ჩადებთ თუ არა ინვესტიციებს საქართველოში, მაგრამ თქვენ პირველივე დღეებში დაუშვით მიუტევებელი შეცდომები და გადაიმტერეთ სამედიცინო პერსონალი, რითაც საფრთხე შეუქმენით ბავშვებისთვის სამედიცინო მომსახურების ჩატარებას“.**

თურქმა ინვესტორმა მინისტრს რწმუნებულების საბუთიც ვერ წარუდგინა და აღნიშნა, რომ ქართულ კანონმდებლობას ჯერ კარად არ იცნობს, რათა პროცედურები თანმიმდევრულად დაიცვას. თავის მხრივ, სერგეენკომ გაკვირვება ვერ დამალა — თუ ადამიანი საქართველოში 20 მილიონი დოლარის ინვესტიციის ჩადებას აპირებს, საქართველოს კანონმდებლობა რატომ არ უნდა იცოდესო.

*„ინტერპრესნიუსი“*

# სააკაშვილი „კანონიერი ქურდების“ ამნისტიას გეგმავს?!



## „ამ აქტის გამოცემის მცდელობა პრეზიდენტს უკვე ჰქონდა, მაგრამ...“

დავით დევიძე
593-219-042

**პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე, სააკაშვილს ცოტა დრო რჩება, თუმცა ეს დრო საკმარისი იქნება მისი მორიგი პროვოკაციული ჩანაფიქრის განსახორციელებლად. საქმე ეხება კანონიერი ქურდების შესაძლო ამნისტიას, რასაც თანამდებობის დატოვებამდე გეგმავს პრეზიდენტი და მისი გარემოცვა. „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ამნისტიის აქტის გამოცემის მცდელობა პრეზიდენტს უკვე ჰქონდა, მაგრამ ბოლო მომენტში გამბედაობამ უღალატა და ხელი არ მოაწერა. ამ საკითხის შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას, ექსპერტ-კრიმინალისტი კობა კაპანაძე გვაწვდის.**

— რამდენიმე კვირის წინ სააკაშვილმა ხელი მოაწერა დოკუმენტს პირობითი მსჯავრისა და ნასამართლეობის მოხსნის შესახებ. ბევრმა არ იცის, რომ პრეზიდენტი გეგმავდა უფრო ფართო აქციას — კანონიერი ქურდების ამნისტიას. როგორც წესი, კანონიერი ქურდები და კრიმინალური ავტორიტეტები შეწყალების აქტით არ სარგებლობენ. ქურდული პრინციპებისათვის ეს მიუღებელია, ამიტომ არც ერთი კრიმინალური ავტორიტეტი არ მიმართავს პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით. შესაბამისად, მათ გასათავისუფლებლად რჩება ერთადერთი გზა — ამნისტია, თუმცა ბოლო მომენტში სააკაშვილმა გადაიფიქრა, ეტყობა, გამბედაობა არ ეყო, თან დროც დაიტოვა ფიქრისთვის.

— **რატომ აპირებდა სააკაშვილი ქურდების ამნისტირებას?**

— ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ნაცმოძრაობამ კანონში ცვლილებები შეიტანა, რომლის საფუძველზეც, შესაბამის ორგანოებს საშუალება მიეცათ, კრიმინალი არა მარტო დანაშაულის ჩადენისთვის, სტატუსის გამოც დაეჭირათ. სწორედ ამ გზით აღმოჩნდა ყველა „ქურდი“ გისოსებსმიღმა. მაშინ ამ ყველაფერს ასეთი ახსნა ჰქონდა: ქვეყანაში გაბატონებული კრიმინალის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა, რაც ქვეყანას ნამდვილად სიკეთეს მოუტანდა, სხვა თუ არაფერი, ბიზნესი გათავისუფლდებოდა კრიმინალთა რეკეტისგან, ეს კი ხელს შეუწყობდა ქვეყანაში წარმოების განვითარებას... მაგრამ მალე გაირკვა, რომ ანტიკრიმინალურ კამპანიას სრულიად სხვა მიზნები ჰქონდა.

— **იგივე საწარმოებზე კონტროლის მოპოვება?**

— დიახ, ნაცმოძრაობას „კანონიერ ქურდებთან“ ბრძოლის დროს კეთილშობილური მიზნები კი არა, რეკეტის სადავეების ხელში ჩაგდება ამოძრავებდა. ეს პროცესი შსს-ში ვანო მერაბიშვილის მოსვლის შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა. მერაბიშვილს ჰქონდა ყველა იმ ბიზნესმენის სია, ვინც ადრე წილს აძლევდა „კანონიერ ქურდებს“. ეს წილი გაიზარდა და ნაციონალების „ობშიაკში“ გადაინაცვლა. არსებობს ამის დამამტკიცებელი უამრავი საბუთი. გვარს არ დავასახელებ, მაგრამ საზოგადოება მიხვდება, ვისზეც ვსაუბრობ — ვანო მერაბიშვილი ახალი გამინისტრებული იყო, ტელეეთერში გამოიყვანეს ერთ-ერთი ქარხნის დირექტორი, რომელმაც ილაპარაკა, რომ სვანი ქურდები ყოველწლიურად 600 ათას ლარს „აწერდნენ“. ეს საჯარო განცხადება საკმარისი იყო, გამომძალველები დაეკავებინათ, მაგრამ ორიოდე თვის შემდეგ მივედი რაღაც საქმეზე ამ ქარხანაში. პანაშვიდზე რომ შეხვალ და ატირებული ჭირისუფალი დაგხვდება, ისეთი ვითარება იყო დირექტორის კაბინეტში. თურმე მილიონი ლარი „შეუწერიათ“ — ფაქტობრივად, ორჯერ მეტი, ვიდრე ავტორიტეტები „აწერდნენ“. დირექტორმა მითხრა: „ქურდებს“ იმდენი ფული მიჰქონდათ, ქარხანა არ გაჩერებულიყო, ესენი კი მუშაობის არანაირ შანსს არ გვიტოვებენ. ის ქარხანა მალევე დაიკეტა. „ქურდები“ ჩაანაცვლეს ნაციონალებმა და გაზარდეს რეკეტის „სტავკები“. ეს, ნაციონალების კიდევ ერთი დანაშაულია — ბიზნესმენების დაყაჩაღება და წარმოების ჩაკვლა. საბოლოოდ გაირკვა, რომ ქურდები უფრო იყვნენ დაინტერესებულნი წარმოების განვითარებით, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლება... ციხეში გამოკეტილმა კრიმინალებმა დაინახეს, რომ თურმე ისინი კონკურენციის გამო ჩამოიშორეს. შესაბამისად, დაასკვნეს, რომ „კანონიერ ქურდებს“ ებრძოდა არა კანონი, არამედ კრიმინალთა კიდევ ერთი ფრთა. ამ ფონზე, კრიმინალთა შორის გავრცელდა ბრძანება, დაუნდობლად გასწორებოდნენ ამ ახალ დაჯგუფებას, რომელიც წარმოდგენილი იყო ნაცმოძრაობის ელიტური ნაწილის სახით. ცხადია, შურისძიება იმ პერიოდში შეუძლებელი იყო, დღეს კი ვითარება შეიცვალა. ფაქტობრივად, ნაცმოძრაობა ბოლო დღეებს ითვლის.

— **გამოდის, სააკაშვილი ვითარებიდან გამოსავალს ეძებს და „ქურდების“ ამნისტიას ამიტომ გეგმავს?**

— დიახ, ცდილობს, უზრუნველყოს თავისი მშვიდი მომავალი. ფული, რომელიც ამ წლების განმავლობაში იშოვეს, აუცილებლად იქცევა კრიმინალური ავტორიტეტების სამიზნედ, თუმცა დღეს, სააკაშვილსა და მის გუნდს, ფულზე მეტად, საკუთარი თავი ადარდებთ. თავის დროზე, „ქურდებმა“ დააწესეს — ვინც ფიზიკურ ზიანს მიაყენებდა ბობოლა ნაციონალს, კრიმინალურ წრეებში ავტორიტეტითა და პრივილეგიებით ისარგებლებდა. ახალგაზრდა კრიმინალებისთვის ეს მაცდუნებელი შეთავაზებაა, ამიტომ არსებობს კრიმინალთა მხრიდან ანგარიშსწორების საფრთხე. ერთი სიტყვით, ნაციონალებს მართლა სანერვიულოდ აქვთ საქმე. კურიოზი კი ისაა, რომ ისინი, თავს ყველაზე დაცულად, მაინც საქართველოში იგრძნობენ. ევროპაში, სადაც ქართული კრიმინალური სამყარო ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი, მათი არსებობა უსაფრთხო ვერ იქნება, ამიტომ მოინდომა სააკაშვილმა ცოტათი მაინც შეერბილებინა მტრად გადაკიდებული კრიმინალების დამოკიდებულება. პირობითი მსჯავრისა და ნასამართლეობის აქტის გამოცემასთან ერთად, გადაწყვიტა ამნისტიის გამოცემაც. თანაც ერთგვარად, თავს იმართლებდა, „კანონიერი ქურდების“ მასობრივი დაპატიმრება უცხოური არასამთავრობოების მოთხოვნა იყოო. ბოლო მომენტში კი, ველარ გარისკა, რადგან არასამთავრობოების მოშველიება ძალიან უსუსური არგუმენტია და ამას არავინ დაიჯერებდა. ნამდვილი მიზეზი ყველასთვის ცნობილია: გავლენის სფეროების წართმევა, რასაც კრიმინალები მას არასოდეს აპატიებენ. მოკლედ, სააკაშვილს სერიოზული საფრთხე ემუქრება. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, იგი იძულებული იქნება, სპეციალური დაცვის პროგრამით იცხოვროს და ყოველდღე ექნება განცდა, რომ კრიმინალები მიწვდებიან.

— **მით უმეტეს, უცხოეთში მყოფ ავტორიტეტებთანაც გაფუჭებული აქვთ ურთიერთობა...**

— დიახ, თუნდაც ტარიელ ონიანთან. აეროპორტში როცა ჩამოდიოდა, მთელი ნაცელიტა ხვდებოდა. ერთი პერიოდი, ერთობლივი ბიზნესის გაკეთებასაც აპირებდნენ, მაგრამ მერე გადაიფიქრეს და მცირე ხნით დააპატიმრეს კიდეც. ონიანს მაშინ ყველა წილზე უარის თქმა მოუწია თავისუფლების სანაცვლოდ. ესეც კიდევ ერთი თავსატეხი სააკაშვილისთვის. მართალია, ტარიელ ონიანი ციხეშია და ნაკლებად წარმოადგენს საფრთხეს, მაგრამ მისი კლანის „ქურდები“ და ავტორიტეტები მთელ ევროპაში არიან მოდებულნი. გამოდის, პოლიტიკურ ოპონენტებზე გაცილებით დიდი მტერი სააკაშვილს სხვაგან ჰყავს და ამ ძალასთან კოჰაბიტაცია გაცილებით რთული იქნება. შეეცდება, ისე არ წავიდეს, მდგომარეობა ოდნავ მაინც არ განმუხტოს და ამ ფონზე, ველოდები, „კანონიერი ქურდების“ ამნისტიის აქტს ბოლოს მაინც მოაწერს ხელს.

დაპირისპირება



# ირაკლი მანაგაძე: „ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ, მაია ფანჯიკიძეს იქეთ ვუჩივლებ!“

## რა მტკიცებულება აქვს „ექსპრესნიუსის“ ხელმძღვანელს საგარეო საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ



რუსუდან შელია
557-100-768

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე საინფორმაციო სააგენტო „ექსპრესნიუსის“ ხელმძღვანელის, ირაკლი მანაგაძისგან გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების გამო, ბოდიშის მოხდას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოში სარჩელის შეტანით იმუქრება. მოვლენების ამგვარად განვითარების შემთხვევაში, რა „მტკიცებულებები“ ამოქმედდება სააგენტოს ხელმძღვანელის სასარგებლოდ და არსებობს თუ არა, ფანჯიკიძის რუს ჩინოვნიკებთან ქეიფის რაიმე დამადასტურებელი საბუთი? „ვერსიას“ ირაკლი მანაგაძე ესაუბრება.**

— ჩემმა ახლობელმა დიპლომატმა, რომელიც დღემდე ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე მუშაობს, მომაწოდა ინფორმაცია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე რუსეთის მაღალჩინოსნებთან ერთად მცხეთაში, რესტორან „მცხეთის გუჯარში“ ვახშმობდა. ინფორმაციის გადამოწმება რამდენიმე მიმართულებით ვცადე. როცა ადგილზე მივედი, რესტორანთან მართლაც იდგა რუსულნომრიანი მანქანები სერიით — AAA. ერთ-ერთის ნომერი იყო 777. ცნობილია, რომ რუსეთში მსგავსი სერიის ნომრებით მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის თანამშრომლები გადაადგილდებიან. ამის შემდეგ, ჟურნალისტურ ხრიკს მივმართე — მოგვიანებით, რესტორანში სამინისტროს ერთ-ერთი თანამშრომლის სახელით დავრეკე, რადგან კარგად ვიცოდი, რომ თუ ჩემს ვინაობას გავამხელდი, რესტორნის თანამშრომლები არაფერს მეტყოდნენ. თანამშრომელს ვთხოვე — მაია ფანჯიკიძე რუს სტუმრებთან ერთად თქვენთან როცა ვახშმობდა, სათვალე დამრჩა და იქნებ მომიძებნოთ-მეთქი. ახლავე მოგიძებნით და დაგიკავშირდებითო, მიპასუხეს ანუ თანამშრომელმა, ფაქტობრივად, დამიდასტურა, რომ მაია ფანჯიკიძე რესტორანში მართლაც იმყოფებოდა. ასე რომ, ბოდიშის მოსახდელი ნამდვილად არ მაქვს.

— **თუმცა საგარეო საქმეთა მინისტრი გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისთვის სასამართლოში საჩივრის შეტანით გემუქრება. როგორ აპირებ ამ ყველაფრის დამტკიცებას?**

— პირველ რიგში, გეტყვით, რომ შესაგებელი საჩივრის შეტანას მეც ვგეგმავ, რადგან მაია ფანჯიკიძემ საინფორმაციო სააგენტო „ექსპრესნიუსის“ იმიჯის შელახვა სცადა. რაც შეეხება მინისტრის მუქარას, საქართველოს კანონმდებლობით, ინფორმაციის წყაროს უფლებები დაცულია, თუმცა ჩემი ახლობელი დიპლომატი მზადაა, საჭიროების შემთხვევაში, ვინაობა გაამხილოს და სასამართლოს ჩვენება მისცეს. სიმართლე გითხრათ, პირადად წინააღმდეგი ვარ, წყარო გავასაჯაროო.

— **თუ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, მაშინ ალოგიკურია, რატომ გაბრაზდა და რატომ გიჩივის სასამართლოში მინისტრი?**

— ერთი მნიშვნელოვანი მომენტია: ჩვენმა ფოტოგრაფმა ქალბატონი მაია ფანჯიკიძე ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეხვედრაზე საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში გადაიღო — ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტუმარს უხერხულ ადგილას უყურებს. საიტზე ამ ფოტოს განთავსების შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროდან გვირეკავდნენ, სურათი წაშალეთო. მოგვიანებით, ასეც მოვიქეცი, თუმცა ფოტო სოციალურ ქსელში სწრაფად გავრცელდა, რაც ჩვენი ბრალი ნამდვილად არ არის. ამასთან, საგარეო საქმეთა მინისტრს სწორედ „ექსპრესნიუსთან“ კომენტარში შეეშალა 25 კილომეტრი და 25 მეტრი ერთმანეთში, როცა რუსეთის მიერ საზღვრის გადმოწევის ფაქტს აფასებდა. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ნელ-ნელა დაგროვდა და ქალბატონი მაია მთელ ბოღმას ახლა ანთხევს.

# სახელმწიფო აუდიტის სენსაციური დასკვნა

თორნიკე ხურციძე
„ვერსიისთვის“ ქუთაისიდან

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის მიხედვით, ქუთაისის მერიის მიერ 2009-2011 წლებში განხორციელებულმა ქონების პრივატიზებამ სხვადასხვა სახის უზუსტობა და რისკის შემცველი გარემოება გამოავლინა. დასკვნა ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველების მიერ ქონების განკარგვის პროცესში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ მომზადდა.

გაირკვა, რომ აღნიშნულ წლებში მერიამ 129 ობიექტი გაასხვისა, იჯარის წესით 88, ხოლო საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფ ობიექტებზე, წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებსა და იურიდიულ პირებზე უსასყიდლოდ 47 ობიექტი გასცა.

აუდიტის სამსახურის ანგარიშის მიხედვით, მერიის მიერ ქონების გასხვისების მიზნით გამოცხადებული აუქციონის შესახებ პოტენციურად დაინტერესებული მყიდველების უმრავლესობა ინფორმირებული არ იყო. ასევე ირკვევა, რომ 2009-2010 საპრივატიზაციო ქონების შესახებ ეკონომიკის სამინისტროში გადაგზავნილი 10 ინფორმაცია დაგვიანებით, ქონების გასხვისების შესახებ ბრძანების გამოცემიდან 9-22 დღის შემდეგაა მიწოდებული. აუდიტის სამსახურის დასკვნის მიხედვით, მერიას არ აქვს გამოყენებული ინფორმაციის გავრცელების უფრო ეფექტური საშუალებები: კერძოდ, ადგილობრივი პრესა და ტელევიზია. ინფორმაცია აუქციონის შესახებ იბეჭდებოდა მხოლოდ ადგილობრივ გაზეთში „ენციკლოპედია ქუთაისი“, რომელსაც არ აქვს ტირაჟი, დაბეჭდვის კონკრეტული თარიღი, უფასოა და, ფაქტობრივად, არ ვრცელდება.

ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით, კიდევ ერთი დარღვევა გაუმჭვირვალე აუქციონებია. მერიაში არ ტარდებოდა ელექტრონული აუქციონები, რაც ქონების გასხვისების პროცესის გაუმჭვირვალედ წარმართვას განაპირობებდა. გარდა ამისა, დაინტერესებულ მხარეებს არ ეძლეოდათ საშუალება, აუქციონის პროცესისთვის თვალი ედევნებინათ.

კიდევ ერთი უზუსტობა ქალაქის მერიის კუთვნილი ქონების გაყიდვის ფასს შეეხება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის მიხედვით, ქუთაისის საკრებულომ 2009 წლის 20 იანვარს მიწის ნორმატიული ფასის შესახებ დადგენილება მიიღო და მიწის ფასი გააათმაგა. აღნიშნული დადგენილების ამოქმედების შემდეგ, მერიამ 28 იანვარს აუქციონი ჩაატარა, სადაც მიწა ძველი ფასით გაყიდა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის მიხედვით, მერიას მიწა ძველი ფასით რომ არ გაეყიდა, 28 იანვარს გასხვისებულ ქონებაზე 149 200-ის ნაცვლად, 1 200 000 ლარს მიიღებდა.



ქუთაისის მერია შენობებს იაფად და კანონდარღვევით ასხვისებდა

აუქციონების მოუმზადებლობასა და ნაკლებინფორმირებულობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 2009-2011 წლებში ჩატარებული 127 აუქციონიდან კონკურენცია დაფიქსირდა მხოლოდ 13-ზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში ასევე კონკრეტულადაა საუბარი იმ ქონებაზეც, რომელიც ინვესტორს გადაეცა, თუმცა მყიდველის მიერ საინვესტიციო ვალდებულებების შესრულება არ ხდებოდა. მაგალითად, „2008 წლის 8 აპრილს ქუთაისის მერიის მიერ აუქციონის ფორმით გაყიდულია ქუთაისში, გრიშაშვილის 19-ში მდებარე შენობა 1,2 მილიონ აშშ დოლარად. ამ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცა კვიპროსში რეგისტრირებულ კომპანია შპს „ზესლერ თრეიდინგ ლიმითედს“. პრივატიზების პირობა შემდეგია: ქუთაისის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციის პროექტთან შესაბამისობაში შეთანხმებული პროექტის მიხედვით, შენობის რეკონსტრუქციის დასრულება 1 წლის განმავლობაში.

მიუხედავად ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობისა, პრივატიზებული შენობის იერსახე დღემდე უცვლელია, ხოლო მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, მერიის მიერ არ ყოფილა ჩადებული პირგასამტეხლო ან სხვა სანქციები საპრივატიზებო პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში.

სახელმწიფო აუდიტის მიერ მომზადებულ დასკვნაში ასევე საუბარია აიპ-ებზე, რომლებსაც უსასყიდლოდ უზურფრუქტით მიღებული ფართები თავად აქვთ იჯარით გაცემული. მაგალითად, ქუთაისში, დუმბაძის 59/6-ში მდებარე შპს „მადლიერების სახლი“, რომლის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია ქუთაისის თვითმმართველობა, 2012 წლის 1 თებერვლამდე თავის საქმიანობას, როგორც ბიუჯეტური დაფინანსებით, ასევე საკუთარი შემოსავლებით ახორციელებდა. საკუთარი შემოსავლების წყაროს კი წარმოადგენდა შპს-ს ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების თავისუფალი ფართის გაქირავება, ხოლო 2012 წლის 1 თებერვლიდან ქუთაისის საკრებულოს 2012 წლის 18 იანვრის 241 დადგენილებით დაფუძნდა ა(ა)იპ „მადლიერების სახლი“, რომელსაც გადაეცა შპს „მადლიერების სახლის“ ფუნქციები. აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ „მადლიერების სახლის“ დაფუძნების შემდეგ შპს „მადლიერების სახლის“ ლიკვიდაცია არ განხორციელებულა და ის განაგრძობდა მის მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობის ფართის იჯარით გაცემას. ფართის ნაწილი იჯარით გაცემულია რვა ინდმეწარმეზე და ყოველთვიური საიჯარო შემოსავალი შეადგენს 1,5 ათას ლარს.

სახელმწიფო აუდიტის მიერ მომზადებულ დასკვნაში ასევე საუბარია, რომ ხშირად ხდებოდა საიჯარო ფასის შემცირება და იმ ქონების განკარგვა, რომლებზეც მერია არ ფლობდა ინფორმაციას. მოიჯარეებთან გაფორმებული ხელშეკრულებიც ხარვეზებითაა შედგენილი.

# ტურისტების გაზრდილი რაოდენობა და მოუგვარებელი პრობლემები



თორნიკე ხურციძე
„ვერსიისთვის“ ქუთაისიდან

**საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2013 წლის 6 თვის მონაცემებით, იმერეთი საერთაშორისო ვიზიტორების 4,5%-მა მოინახულა, რაც რაოდენობრივად 96 846 შეადგენს. მონაცემები, წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, საკმაოდ გაზრდილია. ტურისტების რაოდენობის ზრდა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, მიუხედავად იმისა, რომ გადაუჭრელია პრობლემები, რომელთა წინაშეც თავად ტურისტები ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე.**

ქუთაისის მერიის ეკონომიკური სამსახურის მთავარი სპეციალისტის **კოტე ჭარხალაშვილის** განმარტებით, ტურისტების რაოდენობის ზრდა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, პირველ რიგში კი, ქვეყანაში არსებულმა შიდაპოლიტიკურმა ვითარებამ და უცხოელებისთვის ქვეყნის ცნობადობის გაზრდამ: **„შარშანდელთან შედარებით, ნამდვილად გაიზარდა ტურისტების რაოდენობა. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველ რიგში, აღსანიშნავია შიდაპოლიტიკური ვითარება. ჩვენი ქვეყანა უცხოელებისთვის უსაფრთხოა და აქ ჩამოსვლას არ ერიდებიან; გარდა ამისა, გაიზარდა ქვეყნის პოპულარობაც. ყოველწლიურად ათობით საერთაშორისო გამოფენაში ვმონაწილეობთ“.**

ტურისტების რაოდენობა იზრდება, თუმცა უცვლელი რჩება პრობლემები, რომლებიც წლების განმავლობაში მოუგვარებელია — გაუმართავი ინფრასტრუქტურა, საინფორმაციო ნიშნების არარსებობა, მომსახურებასთან შეუსაბამო სასტუმროს ფასები, საზოგადოებრივი ტუალეტების არარსებობა... ქუთაისის მერიაში ტურიზმის სფეროში არსებულ პრობლემებზე ღიად საუბრობენ და აცხადებენ, რომ მზადაა მათი მოგვარების სამოქმედო გეგმაც.

წელს ტურისტების მცირე ნაწილმა გაათია ღამე ქუთაისის სასტუმროებში. რამდენადაც პარადოქსულიც უნდა იყოს, სასტუმროების დატვირთვა არ აღემატება 45-50%-ს, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. მაგალითად, ტურისტების ორი ჯგუფი, 30-35 კაცი, ერთდროულად ვერც ერთ სასტუმროში ვერ თავსდება. ისინი იძულებულნი არიან, გავიდნენ ქალაქიდან და უკეთეს შემთხვევაში, წყალტუბოს შეაფარონ თავი ან ბათუმში მიდიან. ქუთაისში სასტუმროს ფასები საკმაოდ დაბალია — 20-25 ლარიდან იწყება, თუმცა არც ერთ სასტუმროში ფასის შესაბამისი მომსახურება არ გხვდებათ.

ძალიან ცუდია ქალაქში ინფრასტრუქტურა. ტურიზმის მხოლოდ ერთი საინფორმაციო ცენტრია, არსებობდა იდეა, ქალაქში მობილური ჯგუფები შექმნილიყო, რომლებიც, ძირითადად, სტუდენტებით დაკომპლექტდებოდა. ახალგაზრდებს უნდა ევლოთ ქუჩებში და ტურისტებისთვის უფასოდ გაეწიათ კონსულტაციები; მიეწოდებინათ მათთვის ინფორმაცია ღირსშესანიშნაობებისა და სასტუმროების შესახებ, მაგრამ ამის განხორციელება ვერ ხერხდება.

ქალაქში გადაადგილებაც პრობლემაა — მოუწესრიგებელია გზები, ქუთაისში არსებული ტრანსპორტი კი, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს: უცხოელი კი არა, ქართველი ვერ გაიგებს, რომელი სატრანსპორტო საშუალება სად მიდის და სად აჩერებს, რაც ტურისტებს პრობლემებს უქმნის. ქალაქში არ არის საინფორმაციო ნიშნები. ბაგრატსა და გელათსაც ვერ მიაგნებს ტურისტი. პრობლემაა პროფესიონალი ექსკურსიამძღოლის პოვნაც.

გადაუჭრელი პრობლემაა საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა, რის გამოც, ტურისტები იძულებულები ხდებიან, ბუნებაში დაიკმაყოფილონ ბუნებრივი მოთხოვნილება.

ქალაქის თვითმმართველობა ამ სფეროს განვითარებისთვის ძალიან ბევრ რამეს გეგმავს. საერთაშორისო გამოფენები, ტურები ტუროპერატორებისა და ტურაგენტებისთვის. საერთაშორისო კონფერენციები, ბუკლეტებისა და საინფორმაციო ბროშურების ბეჭდვა და ა.შ, — **„ეს მომავალი ერთი წლის სამოქმედო გეგმაა“,** — ამბობს მერიის ეკონომიკური სამსახურის მთავარი სპეციალისტი კოტე ჭარხალაშვილი.

ტურისტების ზრდაზე საუბრობენ ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრშიც. **თამუნა კუპრაძე** — ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ოპერატორი: **„2013 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ტურისტების რაოდენობა, რომლებიც ჩვენს ცენტრში მოდიან. შეიძლება ითქვას, 50%-იანი ზრდა შეინიშნება, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა ქუთაისში აეროპორტის არსებობამ; გაიზარდა სასტუმროების რაოდენობაც; საოჯახო ტიპის ბევრი სასტუმრო გაიხსნა... მიუხედავად იმისა, რომ ტურისტებს ქუთაისი ძალიან მოსწონთ, ისინი მაინც უკმაყოფილოები არიან ქალაქის ინფრასტრუქტურით. ძალიან აწუხებთ ტრანსპორტის პრობლემა და ა.შ“.**

ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში კი აცხადებენ, რომ რეისების გაზრდამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ვიზიტორების ზრდაზეც. აეროპორტის მიერ მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით ირკვევა, რომ თუკი თებერვალში მგზავრთა რაოდენობა 4043-ს შეადგენდა, ივლისში ამ მაჩვენებელმა 84,563.00-ს მიაღწია.

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორი, **ქეთევან ალექსიძე**: **„ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში ეტაპობრივად იზრდება რეისების სიხშირე, რაც მგზავრებს საშუალებას აძლევს, იფრინონ სხვადასხვა მიმართულებით, დაბალ ფასად. ჩვენი მიზანია, დაბალტარიფიანი ავიაკომპანიების მოზიდვა და კონკურენტული გარემოს შექმნა. გვჯერა, რომ ახალი მიმართულებები უფრო მეტად შეუწყობს ხელს ტურიზმის განვითარებას, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს ეკონომიკის გაძლიერების საქმეში“.**

სტატისტიკა: 2013 წლის 6 თვის მონაცემებით, იმერეთი საერთაშორისო ვიზიტორების 4,5%-მა მოინახულა, რაც რაოდენობრივად 96 846-ს შეადგენს; ქუთაისი (გელათის მონასტერი, ბაგრატის ტაძარი, წყალტუბოს გამოქვაბულები) საერთაშორისო ვიზიტორების 4.2%-მა (90 233) მოინახულა, საირმე — 897-მა, ზესტაფონი 0,1%-მა (2054), საჩხერე — 887-მა, ჭიათურა — 0,1%-მა (1524), ტყიბული — 308-მ, სამტრედია — 1010-მა.

იმერეთში განთავსების საშუალებების რაოდენობა 91-ია და ამ მაჩვენებლით, ის მეხუთე ადგილს იკავებს საქართველოს რეგიონებს შორის.




# „საქართველოსთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება არსებობს... მაგრამ პრაქტიკის დონეზე მისი მიღება ნატო-ში არარეალისტურია“

## ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ფრენსის ფუკუიამა დემოკრატიზაციის შესახებ აღმოსავლეთ ევროპაში



**ოც წელზე მეტი ხნის წინ, როდესაც მსოფლიო საბჭოთა კავშირისა და მისი სოციალისტური ეკონომიკის კოლაფსის, ასევე თავისუფალი ბაზრისა და დემოკრატიის ტრიუმფის მოწმე გახდა, ამერიკელმა პოლიტოლოგმა ფრენსის ფუკუიამამ იწინასწარმეტყველა, რომ ლიბერალიზმი ყველა სხვა კონკურენტ იდეოლოგიას დაამარცხებდა, მაგრამ ექსკლუზიურ ინტერვიუში „რადიო თავისუფლების“ ბელორუსის ოფისთან, ფუკუიამა განმარტავს, რომ დემოკრატიზაცია აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში იოლად არ მკვიდრდება.**

**— რომელი სოციოლოგიურ-პოლიტიკური პროცესი მიგაჩნიათ აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში ყველაზე არსებითად და მომავლის განმსაზღვრელად?**

— სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ დიდი ნაწილი იმ მოვლენებისა, რაც უახლოეს წარსულში მოხდა, უარყოფითი იყო; მაგალითად რუსეთში, მას შემდეგ, რაც ვლადიმერ პუტინი პრეზიდენტი გახდა, დემოკრატიისგან მტკიცე უკანდახევა გვაქვს. რაც მეტი დრო გადის, რუსეთი მით ნაკლებად დემოკრატიული ხდება. არ არის თავისუფალი კონკურენცია პოლიტიკურ ძალებს შორის; ინფორმაციას, გამოხატვის თავისუფლებას ახშობენ.

უკრაინის ვითარება განსაკუთრებული იმედგაცრუების საგანია. 2003 წელს მას თითქოს მართლაც ჰქონდა შანსი, რეალური დემოკრატია დაემკვიდრებინა ქვეყანაში, მაგრამ პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის ბოლო არჩევნებიდან დღემდე, ეს უკანასკნელი იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ მართლაც ავტორიტარული ინსტინქტები აქვს, ამიტომ ვფიქრობ, რეგიონში არსებული ბევრი ტენდენცია დემოკრატიისთვის კარგი არ არის.

**— რატომ აღმოჩნდა ამდენი პოსტსაბჭოთა ქვეყანა დიქტატურის საფრთხის ქვეშ?**

— რამდენიმე მიზეზია: პირველი — გარდამავალი პერიოდი და დემოკრატიის შექმნის მცდელობა ძალიან ქაოტური იყო. მიმაჩნია, რომ თავად დემოკრატიული ძალები არ იყო ერთიანი და შეცდომები დაუშვეს, მაგალითად, უკრაინაში ნარინჯისფერი კოალიცია შიგნით გაიხლიჩა და მართვის თვალსაზრისით არ იმუშავეს, მაგრამ კიდევ უფრო ღრმა და სერიოზული პრობლემაა ძლიერი ინსტიტუტების არარსებობა ჯერ კიდევ საბჭოთა, კომუნისტური დროიდან. იქ არ არის პოლიტიკური პარტიები, არ არის ან ძალიან სუსტია სამოქალაქო საზოგადოება. მათ ჰქონდათ სახელმწიფო, რომელიც ძლიერი იყო რეპრესიული ძალაუფლების თვალსაზრისით, მაგრამ არ გააჩნდა მოსახლეობის მომსახურების უნარი და ვერ მოქმედებდა მაღალი დონის კორუფციის გარეშე; კანონის უზენაესობა ძალიან სუსტი იყო, ამიტომ თუკი თქვენ შეადარებთ ყოფილ კომუნისტურ სამყაროს, მაგალითად, ლათინურ ამერიკას, რომელიც ასევე იყო დიქტატურის ქვეშ 1960-1970-იან წლებში, იქ ცოტა რამ თუ იყო, რაზეც დაშენება შეიძლებოდა. ეს არ ნიშნავს, რომ მსგავსი რამ მომავალში არ მოხდება, მაგრამ ამ ინსტიტუტების მშენებლობა რთულია და ამას დრო დასჭირდება.

**— შეგიძლიათ, გვითხრათ ზოგიერთი იმ შეცდომის შესახებ, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რეგიონში დაუშვა?**

— ვფიქრობ, შეცდომები იყო როგორც პოლიტიკის, ასევე ყურადღების თვალსაზრისით. რაც შეეხება პოლიტიკას, ბევრი ამერიკელი ფიქრობდა, რომ თუკი უბრალოდ მოიშორებდით დიქტატურას, მიიღებდით ქმედით დემოკრატიას. მიმაჩნია, რომ არ იყო ადეკვატური ყურადღება ინსტიტუტების მშენებლობის საჭიროების მიმართ, რაც დემოკრატიის მხარდაჭერას უზრუნველყოფდა. ჩემი აზრით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მეტ წარმატებას მიაღწია, კერძოდ, რუსეთში, უფრო ძლიერი დემოკრატიის კონსოლიდაციის მხარდაჭერის მხრივ, ადრეულ 1990-იან წლებში. შემდეგ, საგარეო პოლიტიკის მხრივ, ბევრმა რუსმა შეაქცია ზურგი აშშ-ს ნატო-ს გაფართოების გამო. დღეს ეს სადავოა, რადგან აღმოსავლეთ ევროპაში ამისკენ მიისწრაფოდნენ, თუმცა რუსები ამან დასავლეთის განზრახვის მიმართ უფრო სკეპტიკურად განაწყო.

**— ამბობთ, რომ რუსეთმა დემოკრატიისგან უკან დაიხია. ფაქტი, რომ ეს ქვეყანა იკრებს ავტორიტარულ ქვეყნებს და მხარს უჭერს მათ, ემსახურება თუ არა მისი პირადი ავტორიტარული ტენდენციების განმტკიცებას?**

— დიახ, ვფიქრობ, რუსეთი არ არის დაინტერესებული, ჯანსაღი დემოკრატია ჰქონდეს საკუთარ საზღვრებთან, რადგან ეს არასწორი სიგნალი იქნება მისი მოსახლეობისთვის, ამიტომ შესაძლოა სწორია, რომ რუსეთს ურჩევნია, სხვა ავტორიტარი მეზობლებით იყოს გარშემორტყმული. ვხედავთ აქტიურ თანამშრომლობას რუსეთსა და სხვა დიქტატურებს შორის. ისინი ცდილობენ, ერთიანი სავაჭრო ზონისა და ეკონომიკური სივრცის შექმნას ენერგეტიკული და სატრანსპორტო პოლიტიკის საშუალებით.

**— უცხოეთი მთელ ყურადღებას უთმობს რუსეთს. უფრო გონივრული ხომ არ იქნებოდა, მეტი სისტემატურობით და ყურადღებით მეზობელი ქვეყნების დემოკრატიული გარდაქმნების მხარდაჭერა?**

— აშშ, გარკვეული დოზით, მართლაც მხარს უჭერს დემოკრატიას. ამან, ყველა იქაური მთავრობის მხრიდან გამოიწვია რეაქცია, რაც ისეთი კანონების მიღებაში გამოიხატა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს ფულის მიღებას უკრძალავს.

**უკრაინასა და საქართველოსთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება არსებობს, რომ ისინი ნატო-ში უნდა გაწევრიანდნენ. ვფიქრობ, პრინციპში, ეს კარგი იდეაა. მაგრამ, პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს ნამდვილად არ არის ბრძნული, რადგან ნატო, რეალურად, სამხედრო ალიანსია, რომელიც ყველა მის წევრს ავალდებულებს ომში ჩაბმას, თუკი მის ერთ-ერთ წევრს თავს დაესხმებიან. ამიტომ პრაქტიკის დონეზე არც ერთი ამ ქვეყნის მიღება ალიანსში, რეალისტური არ არის. ევროკავშირი სხვა საქმეა, რადგან ის სამხედრო ბლოკი არ გახლავთ.**

ამდენად, ვფიქრობ, ევროპელებს შეუძლიათ ინსტიტუტების რეფორმების წახალისება ყველა ამ ქვეყანაში, განსაკუთრებით უკრაინაში, რათა უფრო დემოკრატიული მიმართულებით უბიძგონ. საბოლოოდ, მიმაჩნია, რომ სამყაროს ამ ნაწილში, როგორც აშშ-ს, ასევე ევროპის ბერკეტები შეზღუდულია.

**— რატომ არ სთავაზობს ევროკავშირი უკრაინასა და ბელორუსს წევრობას?**

— მიზეზი საკმაოდ ცხადია. ბევრი ევროპელის აზრით, ევროკავშირი სწრაფად გაფართოვდა. მათ ალბათ არ უნდა მიეღოთ თავის რიგებში საბერძნეთი, ყოველ შემთხვევაში, ევროზონაში მაინც. დღეს, ბევრს მიაჩნია, რომ ბულგარეთისა და რუმინეთის მიღებაც ნაადრევი იყო, რადგან გაწევრიანებისთანავე, მათი მაჩვენებლები კორუფციისა და ინსტიტუტების ფუნქციონირების თვალსაზრისით, გაუარესდა. იმ კომპრომისის თანახმად, რომელზე წასვლაც უწევთ ევროპელებს საგარეო პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, უკეთესია, არსებობდეს დიდი ევროკავშირი და რაც შეიძლება ბევრ ადამიანს ჰქონდეს მასში გაწევრიანების მოტივაცია. თავად ევროკავშირის სიჯანსაღისთვის, პატარა ევროკავშირის მხარდაჭერა უფრო იოლია, რადგან ასეთ დროს ადვილია მაღალი სტანდარტების შენარჩუნება ბლოკის შიგნით. მათ ამ ორი წინააღმდეგობრივი რამის დაბალანსება უწევთ.

**— რას იტყვით საშუალო კლასის როლზე დემოკრატიულ გარდაქმნებში და განსხვავდება თუ არა მკვეთრად ამ რეგიონის საშუალო კლასი, მაგალითად, თურქეთის ან ბრაზილიის იმავე ფენისგან?**

— საშუალო კლასი ერთნაირად მოქმედებს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში. არ მგონია, ის ფუნდამენტურად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან ბელორუსში, რუსეთში, ჩინეთში, ბრაზილიასა თუ თურქეთში. რაც უფრო განათლებულია ხალხი, მით მეტი აქტივი — საკუთარი სახლი, ატომანქანა... აქვს. ისინი უფრო დაინტერესებულნი არიან პოლიტიკით, მათი ფასეულობები იცვლება, უფრო გახსნილები არიან გარეგავლენისთვის... მაგრამ დამოკიდებულნი არიან პერსონალურ გამოცდილებაზე. მაგალითად, რუსეთში, უამრავი საშუალო კლასის წარმომადგენელი ცხოვრობდა 1990-იან წლებში ელცინის მმართველობის დროს. მათთვის ეს დრო ეკონომიკურ ქაოსსა და საგარეო მოწყვლადობასთან ასოცირდება. ისინი იმ პერიოდის ცუდ ასოციაციებს დემოკრატიას უკავშირებენ, ამიტომ ბევრმა, საბოლოოდ, პუტინს დაუჭირა მხარი,

— თუმცა ხანგრძლივ პერსპექტივაში, უამრავი რამ ადასტურებს, რომ როგორც კი ეს მოგონებები ქრება და ადამიანებს უჩნდებათ სტაბილურობისა და ეკონომიკის განვითარების განცდა, ინტერესდებიან პოლიტიკით, მეტი თავისუფლებით, მეტი ინდივიდუალური არჩევანის შესაძლებლობით ცხოვრებაში და აღარ ეგუებიან იოლად ავტორიტარულ მთავრობას.

**— ჩინეთზე როგორ აისახება ეს ცვლილებები?**

— ვფიქრობ, ჩინეთსა და ჩინურ მოდელს რთული პერიოდი ელის მომდევნო 10 წლის განმავლობაში, რადგან ეკონომიკური მოდელი ისე კარგად ვეღარ მუშაობს, როგორც წარსულში. ზრდის ტენდენცია შენელდა. თავად ჩინეთს ახლა დიდი საშუალო კლასი ჰყავს და მიუხედავად იმისა, რომ ისინი დიდწილად რეჟიმის მხარდამჭერები არიან, არ მგონია, ეს გაგრძელდეს ეკონომიკის შენელების ფონზე. ამ ფონზე, ჩემი აზრით, 10 წლის შემდეგ ჩინეთი იმაზე ნაკლებად მიმზიდველი ალტერნატივა იქნება დასავლური დემოკრატიისა, ვიდრე დღესაა.

**— ანალიზის გაკეთებისას, ხშირად ახსენებთ პუტინსა და იანუკოვიჩს, მაგრამ არასოდეს ახსენებთ ბელორუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოს. თქვენ არ ხართ ერთადერთი მკვლევარი, რომელიც ბელორუსს ანალიზიდან გამორიცხავს. რატომ?**

— მიზეზი ისაა, რომ რუსეთშიც და უკრაინაშიც, რეალური დემოკრატიის განვითარებაზე მეტი იმედი არსებობდა კონკრეტული მომენტისთვის... როდესაც პუტინმა ელცინი შეცვალა, ბევრი ადამიანი იმედოვნებდა, რომ შეიძლება მას წესრიგი გარკვეული დოზით შეეცვალა, მაგრამ იგი მაინც დემოკრატი იქნებოდა. ანალოგიური განცდა არსებობდა უკრაინაზეც ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ. სამწუხაროდ, ბელორუსს დღეს იგივე ადამიანი მართავს, რომელიც მართავდა მას კომუნიზმის დამარცხების შემდეგ. ესაა ქვეყანა, სადაც არ ყოფილა მომენტი, როდესაც შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ცვლილება რეალურად მოსალოდნელი იყო. მყავდა ბელორუსი სტუდენტები. ვესაუბრები ადამიანებს ამ ქვეყნიდან და ვცდილობ გავიგო, რატომ წავიდა ეს ქვეყანა ასეთი გზით, მაგრამ პასუხი დღემდე არ მაქვს.

## ვერსიანიუსი



### აშშ-ს სენატმა სირიაში შეზღუდული სამხედრო მოქმედებების გატარებას მხარი დაუჭირა

„როიტერის“ ინფორმაციით, აშშ-ს სენატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტისა და რესპუბლიკელების ლიდერებმა მხარი დაუჭირეს ბარაკ ობამას გადაწყვეტილებას, სირიაში შეზღუდული სამხედრო მოქმედებების გატარებასთან დაკავშირებით. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა მოამზადა რეზოლუციის პროექტი, რომელიც მხარს უჭერს სირიაში სამხედრო ინტერვენციას. დოკუმენტში, რომელსაც კენჭს მომავალ კვირას უყრიან, აღნიშნულია, რომ სირიაში სამხედრო ოპერაცია 60 დღეს უნდა გაგრძელდეს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, ითვალისწინებს ვადის 30 დღით გახანგრძლივებას. აშშ-ს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მიერ მიღებული რეზოლუციის პროექტში ასევე ნათქვამია, რომ პროექტი არ ითვალისწინებს სირიაში სახმელეთო ოპერაციას. **„სავარძელში ჯდომისა და ხალხის ხოცვაზე ყურების დრო აღარ არის. არც ჩვენი ქვეყანა და არც სხვები არ უნდა გავჩუმდეთ. ბევრჯერ გვისაუბრია ჩადენილ საშინელებაზე წარსულში, მაგრამ ახლა დროა, ვიმოქმედოთ“,** — განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ. მისივე თქმით, პრეზიდენტი ობამა ამერიკას ომის დაწყებას არ სთხოვს: **„ყველა ვთანხმდებით, რომ სირიის მიწაზე ამერიკელი ჯარისკაცი არ გაივლის. პრეზიდენტი ითხოვს, მიეცეს თანხმობა, შეაჩეროს ბაშარ ალ-ასადის რეჟიმი მომავალში ქიმიური იარაღის გამოიყენებისგან“.**

საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა, რომელიც ასევე მხარს უჭერს ობამას გადაწყვეტილებას სირიაში სამხედრო ინტერვენციის განხორციელებაზე, განაცხადა, რომ ელის აშშ-ს კონგრესის გადაწყვეტილებას. მისივე თქმით, თუ კონგრესი მხარს არ დაუჭერს სამხედრო ინტერვენციას, საფრანგეთი მარტო არ იმოქმედებს სირიის წინააღმდეგ.

***„ინტერპრესნიუსი“***

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | 6 | | | | 4 | 1 |
| 5 | | | | | | | | 7 |
| | | | | | 4 | 9 | | |
| 8 | 4 | | | 7 | | | 1 | |
| | | 9 | 4 | 8 | 2 | 6 | | |
| | 5 | | | 3 | | | 7 | 8 |
| | | 1 | 3 | | | | | |
| 6 | | | | | | | | 4 |
| 4 | 9 | | | | 7 | | | 2 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | | | | 4 | 3 | |
| 3 | | | 4 | 9 | | | | 6 |
| | 2 | 6 | | | | | 9 | 8 |
| | | 8 | | 5 | | | 7 | |
| | | | | 3 | | | | |
| | 3 | | | 2 | | 8 | | |
| 7 | 8 | | | | | 3 | 6 | |
| 6 | | | | 8 | 7 | | | 2 |
| | 9 | 2 | | | | 1 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | | 6 | 5 | | | |
| | 6 | | 3 | | | | 7 | |
| | 2 | 9 | | | | | 6 | 5 |
| 9 | | | | 5 | | | | 1 |
| | | 4 | | 2 | | 7 | | |
| 6 | | | | 4 | | | | 8 |
| 8 | 4 | | | | | 6 | 5 | |
| | 9 | | | | 6 | | 1 | |
| | | | 5 | 9 | | | 8 | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 5 | | | | | 1 |
| | | | | | 6 | 2 | | |
| | | 2 | | 1 | 8 | | 5 | 9 |
| | 6 | 3 | | | 1 | | | 8 |
| | 2 | | | | | | 1 | |
| 8 | | | 6 | | | 5 | 4 | |
| 6 | 4 | | 1 | 5 | | 7 | | |
| | | 1 | 7 | | | | | |
| 7 | | | | | 9 | | | |



# სპა-ცენტრი ლოთებისთვის

ცოტა ხნის წინ ლას-ვეგასში კომპანიამ Reviv უჩვეულო სპა-ცენტრი The Hydration Medspa გახსნა, რომლის კლიენტებიც ის ადამიანები არიან, ვისაც ალკოჰოლური ინტოქსიკაცია ემართება. კომპანია ოთხმა ექიმმა დააფუძნა, რომლებიც საავადმყოფოს მისაღებში მუშაობენ. ახალ სპა-ცენტრში პროფესიული მედდები და პარამედიკოსები მუშაობენ. როგორც კი კლიენტი დაწესებულების ზღურბლს გადალახავს, მას ტყავის სავარძელზე სვამენ და გამოჯანმრთელების კურსს სითხის, ვიტამინებისა და მინერალების დახმარებით უტარებენ. სპა-ცენტრის დევიზია: „რასაც ცხოვრება გართმევთ, Reviv გიბრუნებთ“. უბრალო გაუწყლოების დროს პაციენტს წვეთოვანს უდგამენ ელექტროლიტებით, უფრო გართულებული მდგომარეობისას საჭირო ხდება პროცედურა, სახელწოდებით MegaBoost Wellness Infusion, რომლის დროსაც კლიენტი იღებს აუცილებელ მედიკამენტებს, ანტიოქსიდანტებსა და იმუნიტეტის ასამაღლებელ სხვა საშუალებებს.



# სმარტფონი მხედველობას აქვეითებს

მსოფლიო ბაზარზე 1997 წელს სმარტფონების გამოჩენის შემდეგ, ახლომხედველთა რიცხვი 35%-ით გაიზარდა. ასეთ მონაცემებს ბრიტანელი სპეციალისტი დევიდ ელამბი ავრცელებს. მისი ვარაუდით, უახლოესი 10 წლის განმავლობაში, ახლომხედველი ბავშვების რიცხვი, შესაძლოა, კიდევ 50%-ით გაიზარდოს. ამ გლობალური პრობლემის თავიდან ასაცილებლად, უნდა შეიზღუდოს სმარტფონების მოხმარების პერიოდი. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია გავაკონტროლოთ, რომ პატარა ბავშვებმა არ გამოიყენონ ისინი, — აცხადებს ბრიტანელი ოფთალმოლოგი და დასძენს, რომ თანამედროვე ბავშვები ახლომხედველობის განვითარების განსაკუთრებულ რისკ-ჯგუფში არიან.




# ქათმის წვნიანი მაღალი წნევის წინააღმდეგ

ქათმის ბარკლებისგან დამზადებული სუპი შეიძლება სისხლის მაღალი წნევის საუკეთესო საშუალება აღმოჩნდეს, — ასეთ დასკვნებს იაპონელი სწავლულები აკეთებენ და აღნიშნავენ, რომ ქათმის ბარკლები, რომელთაც, მაგალითად აშშ-ში საერთოდ არ მოიხმარენ, საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიცავს ანტიჰიპერტენზიულ ნივთიერებებს. ამომავალი მზის ქვეყნის სპეციალისტებმა ქათმის ბარკლებისგან გამოყვეს კოლაგენი და შეამოწმეს მისი ანტიჰიპერტნზიულობის უნარი. ექსპერიმენტისთვის მათ სპეციალურად გამოყვანილი მღრღნელები გამოიყენეს, რომელთაც მაღალი წნევა „აწუხებდათ“. კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ცილები, რომელთაც კოლაგენი შეიცავს, სისხლის წნევის მნიშვნელოვან დაქვეითებას იწვევს.



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 5 | 3 | 8 | 2 | 9 | 7 | 6 | 4 |
| 4 | 7 | 2 | 6 | 5 | 3 | 1 | 9 | 8 |
| 9 | 8 | 6 | 4 | 7 | 1 | 5 | 3 | 2 |
| 8 | 3 | 5 | 7 | 6 | 2 | 9 | 4 | 1 |
| 7 | 9 | 4 | 1 | 3 | 5 | 2 | 8 | 6 |
| 6 | 2 | 1 | 9 | 8 | 4 | 3 | 7 | 5 |
| 2 | 4 | 7 | 5 | 9 | 6 | 8 | 1 | 3 |
| 5 | 1 | 8 | 3 | 4 | 7 | 6 | 2 | 9 |
| 3 | 6 | 9 | 2 | 1 | 8 | 4 | 5 | 7 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 1 | 9 | 8 | 2 | 7 | 3 | 6 | 5 |
| 6 | 5 | 8 | 4 | 3 | 1 | 7 | 9 | 2 |
| 3 | 2 | 7 | 9 | 6 | 5 | 1 | 8 | 4 |
| 2 | 9 | 6 | 7 | 5 | 8 | 4 | 3 | 1 |
| 1 | 3 | 5 | 6 | 9 | 4 | 2 | 7 | 8 |
| 7 | 8 | 4 | 3 | 1 | 2 | 6 | 5 | 9 |
| 9 | 7 | 1 | 5 | 4 | 6 | 8 | 2 | 3 |
| 5 | 6 | 2 | 1 | 8 | 3 | 9 | 4 | 7 |
| 8 | 4 | 3 | 2 | 7 | 9 | 5 | 1 | 6 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 9 | 2 | 8 | 1 |
| 9 | 4 | 8 | 2 | 1 | 6 | 5 | 7 | 3 |
| 2 | 3 | 1 | 5 | 8 | 7 | 6 | 4 | 9 |
| 1 | 9 | 7 | 3 | 6 | 8 | 4 | 2 | 5 |
| 4 | 8 | 3 | 1 | 5 | 2 | 9 | 6 | 7 |
| 5 | 2 | 6 | 9 | 7 | 4 | 3 | 1 | 8 |
| 3 | 1 | 2 | 7 | 4 | 5 | 8 | 9 | 6 |
| 8 | 7 | 9 | 6 | 2 | 3 | 1 | 5 | 4 |
| 6 | 5 | 4 | 8 | 9 | 1 | 7 | 3 | 2 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 3 | 2 |
| 5 | 2 | 3 | 1 | 9 | 4 | 8 | 7 | 6 |
| 8 | 7 | 6 | 3 | 2 | 5 | 4 | 1 | 9 |
| 6 | 3 | 1 | 4 | 8 | 2 | 9 | 5 | 7 |
| 4 | 8 | 5 | 9 | 6 | 7 | 3 | 2 | 1 |
| 2 | 9 | 7 | 5 | 3 | 1 | 6 | 8 | 4 |
| 3 | 6 | 8 | 2 | 1 | 9 | 7 | 4 | 5 |
| 9 | 1 | 4 | 7 | 5 | 8 | 2 | 6 | 3 |
| 7 | 5 | 2 | 6 | 4 | 3 | 1 | 9 | 8 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 7 | 4 | 1 | 9 | 8 | 6 | 5 |
| 1 | 8 | 9 | 6 | 7 | 5 | 4 | 3 | 2 |
| 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 8 | 1 | 7 | 9 |
| 2 | 7 | 6 | 5 | 8 | 1 | 3 | 9 | 4 |
| 8 | 4 | 3 | 7 | 9 | 6 | 5 | 2 | 1 |
| 9 | 1 | 5 | 2 | 4 | 3 | 7 | 8 | 6 |
| 5 | 9 | 2 | 1 | 3 | 7 | 6 | 4 | 8 |
| 7 | 6 | 8 | 9 | 5 | 4 | 2 | 1 | 3 |
| 4 | 3 | 1 | 8 | 6 | 2 | 9 | 5 | 7 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 1 | 5 | 3 | 6 | 9 | 2 | 8 |
| 3 | 2 | 9 | 7 | 1 | 8 | 6 | 4 | 5 |
| 8 | 6 | 5 | 2 | 4 | 9 | 7 | 3 | 1 |
| 1 | 5 | 8 | 3 | 6 | 7 | 4 | 9 | 2 |
| 4 | 9 | 3 | 1 | 5 | 2 | 8 | 7 | 6 |
| 2 | 7 | 6 | 9 | 8 | 4 | 1 | 5 | 3 |
| 6 | 8 | 7 | 4 | 2 | 5 | 3 | 1 | 9 |
| 9 | 3 | 2 | 6 | 7 | 1 | 5 | 8 | 4 |
| 5 | 1 | 4 | 8 | 9 | 3 | 2 | 6 | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 8 | 3 | 4 | 2 | 7 | 5 | 1 | 9 |
| 1 | 5 | 7 | 9 | 3 | 8 | 6 | 4 | 2 |
| 9 | 4 | 2 | 6 | 1 | 5 | 3 | 8 | 7 |
| 8 | 9 | 1 | 7 | 6 | 4 | 2 | 5 | 3 |
| 7 | 3 | 6 | 5 | 8 | 2 | 4 | 9 | 1 |
| 5 | 2 | 4 | 1 | 9 | 3 | 8 | 7 | 6 |
| 4 | 1 | 9 | 3 | 5 | 6 | 7 | 2 | 8 |
| 3 | 7 | 8 | 2 | 4 | 1 | 9 | 6 | 5 |
| 2 | 6 | 5 | 8 | 7 | 9 | 1 | 3 | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 6 | 2 | 1 | 9 | 7 | 3 | 8 | 5 | 4 |
| 4 | 5 | 3 | 2 | 1 | 8 | 9 | 7 | 6 |
| 5 | 7 | 8 | 1 | 4 | 2 | 6 | 3 | 9 |
| 3 | 1 | 9 | 7 | 8 | 6 | 5 | 4 | 2 |
| 2 | 6 | 4 | 3 | 9 | 5 | 7 | 1 | 8 |
| 7 | 4 | 2 | 8 | 3 | 9 | 1 | 6 | 5 |
| 1 | 9 | 6 | 5 | 2 | 7 | 4 | 8 | 3 |
| 8 | 3 | 5 | 4 | 6 | 1 | 2 | 9 | 7 |

მე-13 გვერდი: 1. კრემლი; 2. რაპირა; 3. მირაბელი; 4. ბიორკი; 5. იუნესკო; 6. რანდევუ; 7. სპირტი; 8. ოტარიდი; 9. ტაბორი; 10. ინანთი; 11. თინათინი; 12. რური; 13. ოაზისი; 14. ესთერი; 15. იბისი; 16. მატე; 17. ალო; 18. სტრიტი; 19. კივუ; 20. ლუვრი; 21. მახათი; 22. ახუნდი; 23. ილირია; 24. ბრუნო; 25. სემი; 26. სერია; 27. რაფინადი; 28. ლოგარითმი; 29. ვენერა მილოსელი; 30. კოლი; 31. კაპულეტი; 32. ზრო; 33. ეილერი; 34. იოკასტე; 35. სიდრი; 36. საია; 37. გენია; 38. ლენინი; 39. პერიოდი; 40. ანუი; 41. ფიურერი; 42. ლამი; 43. ნავთი; 44. ვუვუზელა; 45. იულონი; 46. იფი; 47. კილი; 48. რეომიური; 49. ლუარა; 50. ალმასი; 51. ლილახანა; 52. ეფა; 53. ალბა; 54. „მუმუ“; 55. ესერი; 56. ბანზაი; 57. ვილია; 58. „ტოიოტა“; 59. ტომ; 60. მოდა; 61. ლია; 62. ბემოლი; 63. ტილო; 64. მალიბუ; 65. ბინომი; 66. პოლონეზი; 67. იდო; 68. ვილა; 69. ლორენი; 70. ემა; 71. იასი; 72. სოხანე; 73. ოლე; 74. ეკო; 75. ავუარი; 76. და; 77. უნდილი; 78. ომანი; 79 მამონა; 80 კალია; 81. სირ; 82. ადინამია; 83. აია.

მე-16 გვერდი: 1. ტიტესტერი; 2. პანტომიმა; 3. სიო; 4. ტოპიარია; 5. ტეკილა; 6. სოლი; 7. ალიკაპი; 8. ტერეშკოვა; 9. მაკენზი; 10. მერი; 11. ვაშლი; 12. შუამთა; 13. ინერცია;’14. კაა; 15. „რეკორდი“; 16. იასამანი; 17. სპრუ; 18. დრიადა; 19. ლაგამი; 20. იანიჩარი; 21. დრიადა; 22. შუნი; 23. ერა; 24. ზალპი; 25. ბია; 26. ოუენი; 27. შავი; 28. ისარა; 29. იუანი; 30. ამური; 31. ცარიზმი; 32. ნიაგარა; 33. მანამა; 34. ნუგა; 35. „გაიანე“; 36. დილანი; 37. ზებუ; 38. ალაო; 39. ალია; 40. ლჰასა; 41. აზუ; 42. ბალატონი; 43. ჩიმარო; 44. ჰააგა; 45. გოია; 46. ობი; 47. რიმე; 48. ლოთი; 49. ურა; 50. ასაკი; 51. პაი; 52. ბაგიო; 53. ტუია; 54. თორა; 55. კანო; 56. ორი; 57. პანდა; 58. ვერე; 59. ავი; 60. ლეი; 61. ხოტა; 62. კოტონი; 63. აურა.



1. ინდოეთის დედაქალაქი
2. „ვეფხის-ტყაოსნის“ უნგრელი ილუსტრატორი
3. აკოფის გვარი „ხანუმაში“
4. სიდიდეთა შეფარდების აღმნიშველი გრაფიკული გამოსახულება
5. რუსეთის მეფე ივანე IV-ის მეტსახელი
6. ასკაციანი სამხედრო შენაერთი ძვ. რომში
7. პატარა ხორთუმიანი ცხოველი
8. დეკორატიული მცენარე, ე. წ. ადამის ხე
9. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
10. სოფელი ახმეტის რაიონში
11. ფრანგი მეფეების დროშა
12. ღრმა და ბნელი ორმო
13. აბზინდის არაყი
14. უეცარი შიში
15. ფრანგი კომპოზიტორი, „ბოლეროს“ ავტორი
16. „ქარების მბრძანებელი“ ბერძნულ მითოლოგიაში“
17. ინგლისური ავტომარკა „...-როისი“
18. საბერძნეთის ადმინისტრაც. ტერიტორიული ერთეული
19. იგივეა, რაც იალქანი
20. ჰარი პოტერის ლიტერატურული „დედა“
21. მუსიკალ. გამის V ნოტი
22. კომედიური პიესა მუსიკის თანხლებით
23. მიშელ ობამას წინამორბედი
24. კომპიუტერის საბეჭდი მოწყობილობა
25. დაბალი და ფართო დივანი
26. ბანქოს გაშლა გარკვეული წესით
27. რქებდახრილი ხარი
28. წყალი - ლათინურად
29. მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში
30. ნაპოლეონ ბონაპარტეს მშობლიური კუნძული
31. ფედერიკო ფელინის ფილმების კომპოზიტორი
32. დაშაქრული ნუ-შის გული
33. „მანონ ლესკოს“ ავტორი
34. „ახალი ქალაქი“ იტალიაში
35. მიმართვა ფრანგი ქალბატონისადმი
36. ქალაქი საფრანგეთში
37. პოეტ ბესარიონ გაბაშვილის ფსევდონიმი
38. საბჭოთა კავშირის აბრევიატურა
39. გერმანიის საფეხბურთო კლუბი
40. არაბული ფლეიტა
41. შალვა რამიშვილის პირველი მულტსერიალი
42. კორეული ავტომარკა
43. ვაგნერის ოპერა
44. სამგლოვიარო ფერი
45. მეფე დავით VI-ის თიკუნი
46. მდინარე ყაზახეთში
47. ქედი გარე კახეთში
48. წრეწირის ნაწილი
49. ჩინუ-რი ტაფა
50. მტკნარი წყლის ბუნებრივი საცავი
51. ტიბეტელი ხალხის ლიდერი ...-ლამა
52. პატარა ზომის ჩიტი
53. აბანოს მუშაკი
54. კინოფილმში ჩართული კომიკური ტრიუკი
55. ძიუდოისტთა ოსტატობის ხარისხი
56. ადგილობრივი მმართველობის მოხელე ძვ. საქართველოში
57. მშრალ კედელზე აკვარელით შესრულებული მხატვრობა
58. ყვავილის გაუშლელი ყლორტი
59. იგივეა, რაც იჯარა
60. აბატი „გრაფ მონტე-კრისტოში“
61. ძვლოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
62. შეჩერდი! - საგზაო ნიშანზე
63. ესპანელი ფორმულა 1-ის მრბოლელი
64. იაპონიის „ოლიმპიური“ ქალაქი
65. სასახლე-ძვ. ქართ.
66. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
67. ფრანგული წითე-ლი ღვინო
68. ექთანი „თეთრ ბაირაღებში“
69. ბუდიზმის დამაარსებელი
70. „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ავტორი
71. მწერალი ... დუმბაძე
72. იგივეა, რაც ვირი
73. რუსი საბჭოთა ნობელიანტი ფიზიკოსი
74. გერმანელ ფაშისტთა პირველი საკონცენტრ. ბანაკი
75. კედელზე მიმაგრებული მხატვრულად გაფორმებული სანათი
76. კლოუნის ნომერი ცირკში
77. სამსაჯო ტერმინი ძიუდოში
78. ჰიდროტექნიკური ნაგებობა
79. უძველესი არაბული სიმებიანი საკრავი
80. დედამიწის „სახურავი“
81. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში
82. ... კვირკველია „პირველ მერცხალში“
83. ჩვილი ბავშვის პირველი „სიტყვა“
84. ილია ჭავჭავაძის „...-ადამიანი!?“



# ფეხსაცმელი გამოსაცვლელი ქუსლით

კომპანიების უმრავლესობაში მოქმედებს დრეს-კოდი, რომლის მიხედვითაც ქალს ქუსლიანი ფეხსაცმელი უნდა ეცვას, თუმცა მთელი დღე მაღალ ქუსლებზე დგომა ნებისმიერი მანდილოსნისთვის დამღლელია. ბევრი გზაში უფრო მოხერხებულ ფეხსაცმელს იცვამს, საზოგადოებრივ ტრანსპორტში თუ ქუჩაში თავისუფლად რომ გადაადგილდეს, მაგრამ სათადარიგო ფეხსაცმლის ტარებაც დისკომფორტს ქმნის... სწორედ ამიტომ, ამერიკელმა დიზაინერებმა კენდის კეიბმა და ნადინ ლუბკოვიცმა სუსტი სქესისთვის უჩვეულო ფეხსაცმელი შექმნეს, რომელსაც ქუსლი ეცვლება. სიახლეს Day2Night Convertible Heels უწოდეს, იდეა კი დიზაინერებს ერთ-ერთი მივლინებისას გაუჩნდათ, როცა მხოლოდ ერთი ჩემოდნის წაღება შეეძლოთ, სადაც რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი ვერაფრით ჩაატიეს. ამის შემდეგ გადაწყვიტეს, შეექმნათ ისეთი ფეხსაცმელი, რომელსაც ქუსლს საჭიროებისამებრ გამოუცვლიდნენ.



# ჰოროსკოპი
## 6 სექტემბერი

**ვერძი** — ვერძებს დღეს შეხვედრები, დისკუსიები ელით. შესაძლოა, მხარდამჭერები ახალ ნაცნობებში ნახოთ და მათი სიმპათია დაიმსახუროთ. გამოავლინეთ შემოქმედებითი აზროვნება და ნუ მოგერიდებათ ხუმრობის.

**კურო** — დღეს გაუთვალისწინებელი ხარჯი გელით, მაგრამ შეძლებთ სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებას. მიუხედავად ამისა, მაინც ღირს შემოსავლების ახალი წყაროების ძიება. ყურადღებით იყავით და არ გამოგრჩეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

**ტყუპები** — თქვენი კონტაქტურობისა და გახსნილობის წყალობით, ადვილად მოიპოვებთ ადამიანების ნდობას. ახალი ნაცნობობა არა მხოლოდ საინტერესო, არამედ ხელსაყრელიც იქნება. გაუმხილეთ თქვენი ჩანაფიქრი კოლეგებს და მიიღებთ მათგან სასარგებლო რჩევებს.

**კირჩხიბი** — თქვენი მონდომება დღეს ყველა წინააღმდეგობას დაძლევს და დასახულ მიზანს მიაღწევთ. წარმატება გელით არა მხოლოდ პროფესიულ საქმიანობაში, არამედ პირად ფრონტზეც. შეგიძლიათ კარდინალურად უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება.

**ლომი** — ლომებს შესაძლებლობა ეძლევათ, ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესონ. მთავარია, წარმატებამ თავბრუ არ დაგახვიოთ და სიფრთხილე არ დაივიწყოთ. ნუ მიახარჯავთ ერთბაშად მთელ თანხას უსარგებლო ნივთებში. თავი ხელში აიყვანეთ და გონებას მოუხმეთ.

**ქალწული** — ქალწულებს შეუძლიათ, დღეს საკუთარი პროექტების ნახევარი მაინც რეალობად აქციონ. თქვენთვის საქმიანობის ისეთი ახალი მიმართულებები გამოჩნდება, რომელიც საკმაოდ საინტერესო პერსპექტივებს დაგისახავთ.

**სასწორი** — სასწორებს ფინანსური სირთულე ელით, სამაგიეროდ, პირად ცხოვრებაში ყველაფერი პირიქითაა — სასიამოვნო სიახლე გელით და ვითარებაც თქვენთვის სასიკეთო მიმართულებით შეიცვლება.

**ღრიანკალი** — თქვენი ცხოვრების ტემპი მნიშვნელოვნად აჩქარდება. ფიქრი და მოქმედება საკმაოდ სწრაფად მოგიწევთ. მოთმინება და პატიოსნება ყველა სირთულეს გადაგალახვინებთ.

**მშვილდოსანი** — დღეს შეიძლება მოულოდნელად მატერიალური მხარდაჭერა მიიღოთ იმ წყაროდან, რომლის იმედიც საერთოდ არ გქონდათ. სასიამოვნოდ გაგაოცებთ ძველი ნაცნობიც, რომელიც ღირსეულ დახმარებას გაგიწევთ.

**თხის რქა** — დღეს სერიოზული საუბარი მოგიწევთ საყვარელ ადამიანთან, რომელიც, სხვათა შორის, მხიარულ და საიმედო ნოტზე დასრულდება. ახლა შესაფერისი დროა, დაალაგოთ ურთიერთობები ადამიანებთან, ვინც გაწყენინათ ან ვისაც აწყენინეთ. იყავით გულღია და პატიოსანი.

**მერწყული** — მერწყულებს გრანდიოზული ღონისძიება ელის: დიდი გამოფენა, ბაზრობა ან კარგი კონცერტი, სადაც ძველ მეგობარს შეხვდებით და დროს სასიამოვნო გარემოში გაატარებთ.

**თევზები** — თევზებს შემოქმედებითი ენერგიის მოზღვავების დღე აქვთ. ორიგინალური იდეები მოსვენებას არ გაძლევთ, თუმცა როგორ განკარგავთ მათ, მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

# მოწევას კატების გამო ანებებენ თავს




აშშ-ში სტარტი აიღო ახალმა ანტინიკოტინურმა კამპანიამ, რომლის ინიციატორებიც მწეველ ამერიკელებს სიგარეტისთვის თავის დანებებას შინაური ცხოველების ჯანმრთელობის გამო ურჩევენ. კატების, ძაღლების, ფრინველებისა და სხვა შინაური ცხოველის გამოყენება მავნე ჩვევისგან თავის დასაღწევად ამერიკელებმა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც გამოკითხვების შედეგებს გაეცნენ — რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი მზად იყო, მოწევისთვის თავი დაენებებინა მხოლოდ იმის გამო, რომ თავისი კატისა თუ ძაღლის ჯანმრთელობა არ დაეზიანებინა. ბოლო წლებში აშშ-ს ბევრ შტატში საკმაოდ მკაცრი შეზღუდვები შემოიღეს მოწევაზე, განსაკუთრებით კი, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, წესრიგის დამრღვევებს კი 250-დოლარიანი ჯარიმის გადახდა უწევთ.

# თანამშრომლებს პამპერსის გაკეთებას აიძულებენ



ჰონდურასში მდებარე კომპანია Kyungshin Lear-ს ხელმძღვანელები თანამშრომლებს არაადამიანურ პირობებში ამუშავებენ და ისინი ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საპირფარეშოში რომ არ გავიდეს, აიძულებენ, პამპერსით იარონ. კომპანიის თანამშრომლებმა იქ არსებულ გაუსაძლის სამუშაო პირობებზე ჟურნალისტებთან განაცხადეს, რომ ანაზღაურება მიზერული აქვთ და შეურაცხყოფასაც იტანენ. მუშათა ადგილობრივი კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა კომპანიის ხელმძღვანელობა ამის გამო გაკიცხა და თანამშრომლებს დახმარებას დაპირდა. როგორც აღმოჩნდა, ასეთ დამამცირებელ პირობებში დღეს Kyungshin Lear-ის 4 ათასი თანამშრომელი მუშაობს, რომლებიც აქამდე პრეტენზიას ხმამაღლა ვერ გამოთქვამდნენ, რადგან ფირმის ადმინისტრაცია სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრებოდა.



# ჰოროსკოპი
## 7 სექტემბერი

**ვერძი** — მიუხედავად იმისა, რომ დრო ბევრი გექნებათ, დღეს იდეების დეფიციტს განიცდით. მოუსმინეთ ახლობლების რჩევებს, ეს ნამდვილად გამოგადგებათ, შესაძლოა, სიურპრიზიც მიიღოთ.

**კურო** — დღეს იმის საშიშროებაა, რომ ილუზიებსა და თქვენსავე მოგონილ ტყუილებში გაეხვიოთ. მაგრამ ამაზე არ ღირს ნერვიულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის პოვნა გაგიჭირდებათ.

**ტყუპები** — ეცადეთ, დღეს ისე არ მოიქცეთ, რომ მერე ბოდიშის მოხდა მოგიწიოთ, ამიტომ მკაცრად გააკონტროლეთ ყოველი სიტყვა, რათა გაურკვევლობაში არ აღმოჩნდეთ.

**კირჩხიბი** — წარმატებული დღეა საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებისთვის, თუმცა ნუ იჩქარებთ გადაწყვეტილების მიღებას, რადგან ამ მხრივ არასახარბიელო დღეა. დღის მეორე ნახევარი მეგობრების წრეში გაატარეთ.

**ლომი** — ლომებისთვის წარმატებული დღეა, არის შანსი ახალი ბიზნესის წამოწყებისა, საღამოს დროს დასვენებას თუ დაუთმობთ, ამით არაფერი დაშავდება.

**ქალწული** — დღეს შესაძლებელი გახდება ახალი საქმიანობის დაწყება, რომელიც საკმაოდ საინტერესო და პერსპექტიული აღმოჩნდება. საშუალება მოგეცემათ, უკეთ გამოავლინოთ საკუთარი ნიჭი. მოსალოდნელია მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

**სასწორი** — კარგი იქნება, თუ დღეს მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდნობით, რადგან იმ ვითარებაში, რომელშიც აღმოჩნდებით, ძნელი იქნება მხოლოდ ლოგიკის მეშვეობით გარკვევა.

**ღრიანკალი** — დღეს კარგი განწყობა და ხასიათი საქმეშიც შეგეწევათ. მშვენიერი დღეა ბიზნესისა და ფინანსური ოპერაციებისთვის. თუმცა, ნურც დასვენებაზე იტყვით უარს.

**მშვილდოსანი** — მშვილდოსნების წარუმატებლობის პერიოდი დასრულდება — ოჯახური პრობლემებიც მოგვარდება და სამსახურეობრივიც. მხოლოდ მოვლენების დაჩქარებას ნუ ეცდებით, მშვიდად დაელოდეთ ცვლილებებს.

**თხის რქა** — დღეს გეჩვენებათ, რომ გარემოებათა საბედისწერო დამთხვევის წყალობით, დაკარგეთ წონასწორობა და ორიენტაცია, თუმცა შექმნილი ვითარება არც ისე რთულია, როგორც გეჩვენებათ.

**მერწყული** — მერწყულებმა აქცენტი დღეს ოჯახური პრობლემების მოგვარებაზე გააკეთეთ, ახლობლების მიმართ მზრუნველობა გამოიჩინეთ. იდეალური დღეა შოპინგისა და სასიყვარულო ურთიერთობებისთვის.

**თევზები** — ნებისყოფის მოკრებისა და მაქსიმალური შრომის გარეშე, წარმატების შანსი, რომელსაც ეს დღე იძლევა, შესაძლოა, ხელიდან გაგისხლტეთ. არადა, კარგი დღეა როგორც საქმიანი, ისე პირადი ურთიერთობებისთვის.



# ბედნიერი ქორწინების ფორმულა

ამერიკელმა მეცნიერებმა მათემატიკური ფორმულა გამოიყვანეს, რომელიც 94%-იანი სიზუსტით იწინასწარმეტყველებს, დაქორწინებული წყვილი დარჩება ერთად თუ დაშორდება. ფორმულის ერთ-ერთი ავტორის თქმით, მათი ნაშრომი საკმაოდ მაღალი ალბათობის სიზუსტით პროგნოზირებს, ქორწინება ბედნიერი იქნება თუ არა. საკმარისია მხოლოდ რამდენიმე წუთით დაკვირვება, როგორ განიხილავს ცოლ-ქმარი საკამათო საკითხს, რომელიც, მაგალითად, ფულს, ბავშვის აღზრდას ან დასასვენებლად წასვლას ეხება. მეცნიერები აცხადებენ, რომ დადებითი და უარყოფითი პასუხებისთვის გარკვეული ქულები იწერება, რომელთა მიხედვითაც სპეციალისტები გამოთვლიან ფორმულას და შედეგად დაასკვნიან ქორწინების სიმტკიცეს. მეუღლეებს შორის ხუმრობა, კეკლუცი, ღიმილი დადებით სიგნალებად ითვლება, უარყოფითს კი სარკაზმი და სხვა ჟესტები მიეკუთვნება. სწავლულების თქმით, პასუხების იდეალური თანაფარდობაა — ხუთი დადებითი სიგნალი ერთი უარყოფითის წინააღმდეგ, ნებისმიერ წყვილს კი, რომელიც ასეთ ქულებს ვერ მოაგროვებს, უსიამოვნება ელის.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | | 9 | | | | |
| | 9 | | | 7 | 5 | | | 3 |
| | 7 | 5 | | | | | 8 | 9 |
| | | 7 | | | | | 9 | |
| 3 | | 2 | | | | 6 | | 4 |
| | 1 | | | | | 5 | | |
| 1 | 8 | | | | | 4 | 3 | |
| 7 | | | 9 | 2 | | | 5 | |
| | | | | 3 | | | | 7 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | | | | | | |
| | 2 | 7 | | | 1 | | 8 | |
| | | 8 | 5 | | | | 4 | |
| | 1 | 4 | | | 8 | 7 | | |
| 6 | 5 | | | | | | 3 | 4 |
| | | 3 | 2 | | | 5 | 1 | |
| | 7 | | | | 9 | 4 | | |
| | 4 | | 8 | | | 3 | 6 | |
| | | | | | | | 9 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 3 | | | | | | 1 |
| | 2 | | 4 | | | 5 | | |
| | 5 | | | 1 | | | | |
| | 3 | | 1 | | 4 | 8 | | |
| 1 | | | | | | | | 2 |
| | | 4 | 9 | | 8 | | 1 | |
| | | | | 4 | | | 7 | |
| | | 9 | | | 6 | | 4 | |
| 4 | | | | | | 2 | 6 | 5 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 5 | | 9 | |
| | 6 | | | 8 | 7 | | | 1 |
| 2 | | | | 4 | | 5 | | 7 |
| | | 4 | | | | | | 9 |
| 1 | | | | 9 | | | | 3 |
| 3 | | | | | | 2 | | |
| 4 | | 1 | | 2 | | | | 5 |
| 9 | | | 4 | 5 | | | 1 | |
| | 2 | | 3 | | | | | |



# ჰოროსკოპი
## 8 სექტემბერი

***ვერძი*** — ვერძებისთვის არც ისე სასიკეთო დღეა, ამიტომ სჯობს, კონტრაქტების გაფორმებასა და გარიგებებზე უარი თქვათ და რუტინული სამუშაოთი დაკავდეთ. მშვიდად დააკვირდით მიმდინარე მოვლენებს.

***კურო*** — დღეს, შესაძლოა, ფსიქოლოგიური დაღლილობა იგრძნოთ. განსაკუთრებით ყურადღებიანი იყავით, გარშემომყოფების წყენა რომ არ დაიმსახუროთ.

***ტყუპები*** — დღეს საშუალება გეძლევათ, ხელსაყრელი ფინანსური ოპერაციით მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესოთ, თუმცა არ დაივიწყოთ, რომ გარშემომყოფებსაც სჭირდებათ თქვენი ყურადღება.

***კირჩხიბი*** — ზაფხულის ცხელმა დღეებმა თქვენი ემოციური ფონი გადატვირთა. დროა საჭირო, რომ ჩვეულ სამუშაო რიტმს დაუბრუნდეთ. ნუ იჩქარებთ გადაწყვეტილებების მიღებას და ახლობლების რჩევა გაითვალისწინეთ.

***ლომი*** — დღეს მომხდარი მოვლენები დიდად არ გახარებთ, მაგრამ არც ხელს გიშლით იმ საქმის კეთებაში, რაც ძალიან მოგწონთ. უარს ნუ ეტყვით თავს დასვენებაზე.

***ქალწული*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის ილუზიების დღეა. დაპირებები შესაძლოა, სიმართლე არ აღმოჩნდეს, მაგრამ ხელს ნუ ჩაიქნევთ და საკუთარი გეგმების განხორციელებისთვის შესაფერის დროს დაელოდეთ.

***სასწორი*** — შექმნილი ვითარება იმ საქმეში წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ, რაზეც დიდხანს ოცნებობდით. უფრო კონკრეტული გახადეთ ეს ოცნება და მისი განხორციელება დაიწყეთ.

***ღრიანკალი*** — იმოქმედეთ სწორად შემუშავებული გეგმის მიხედვით და არა მხოლოდ ყველა დასახულ საქმეს დაასრულებთ, მომავლისთვის ახალი შესაძლებლობებიც მოგეცემათ. პირად ურთიერთობებში ცოტა არეული დღეა.

***მშვილდოსანი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები მშვიდ დღეს ჰპირდებიან. შესაძლოა, ცოტა საქმეც გადაგღალოთ მაგრამ ამის გამო წარმატებას ხელს ნუ ჰკრავთ და დრო ოჯახის წევრებსაც დაუთმეთ.

***თხის რქა*** — დღის ენერგეტიკული პალიტრა საკმაოდ ჭრელია. თავი შეიკავეთ მკვეთრი შეფასებებისგან, განსაკუთრებულ პრეტენზიებს ნუ გამოთქვამთ გარშემომყოფებისადმი. კარგი დღეა მნიშვნელოვანი შეხვედრებისა და ხელსაყრელი კონტრაქტების გაფორმებისთვის.

***მერწყული*** — თუ გინდათ, ხვალინდელ დღეს ღიმილით შეხვდეთ, დღევანდელის მადლიერი იყავით და მოვლენებს ნუ დააჩქარებთ — ხელსაყრელი წინადადება თავად გიპოვით, მხოლოდ ამისთვის მოთმინებაა საჭირო.

***თევზები*** — თქვენი ნიშნის სტიქია — წყალი საქმეში აუჩქარებლობისკენ მოგიწოდებთ, ამიტომ ნაკლებად გამოამჟღავნეთ გრძნობები და ემოციები. ნურც პირად ცხოვრებას დაივიწყებთ.


**Appraisal.llc**

**შპს „აპრაისალი" გთავაზობთ,**

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

**ალექსანდრე ფურცელაძე**
**მისამართი: ნუცუბიძის №16ა**
**ტელ.: (5)99 22 98 33**
**ელ-ფოსტა:** a.purtseladze@gmail.com


# „სექსუალური" ფაფა თქვენი ჯანმრთელობისთვის



შეიძლება ითქვას, რომ ფაფა ერთ-ერთი უკანასკნელი რამაა პლანეტაზე, რაზეც შეიძლება ვთქვათ, რომ სექსუალურია, თუმცა კანადელმა მეწარმემ ორი სახეობის ფაფა მოიფიქრა, სახელწოდებით SexCereal, რომელიც მამაკაცებისა და ქალების სექსუალურ პოტენციალს უწყობს ხელს. მეწარმის თქმით, კაცების საუზმე ტესტოსტერონის ბალანსის თანხვედრი უნდა იყოს, სუსტი სქესისთვის განკუთვნილი ვარიანტი კი — ქალების ჰორმონალური ბალანსისა და ამის გამო, „კაცების" ფაფა შეიცავს ყვავილების მტვერს, პურის, ყაყაჩოს, გოგრის თესლს, გოჯის ნაყოფს, შვრიასა და კაკაოს. ქალებისთვის განკუთვნილ საკვებში კი დამატებულია კოჭა, კაკაოს მარცვლების გული, მზესუმზირა, სელის თესლი, შვრია, ყაყაჩო და ნუში. საბოლოო ჯამში, ფაფა SexCereal ჩვეულებრივ, ჯანსაღ საუზმეს ჰგავს. ერლიხი ამბობს, რომ „სექსუალური" ფაფის შექმნის იდეა მას შემდეგ დაებადა, რაც ვეგანთა ბაზარში მოხვდა.

# ლოლა _ ყველაზე განებივრებული ძაღლი



იორკშირული ტერიერი, სახელად ლოლა ოფიციალურად აღიარეს მსოფლიოში ყველაზე განებივრებულ ძაღლად — მისი შენახვა წელიწადში 250 გირვანქა სტერლინგი ჯდება, პატრონი — ლუიზა ჰარისი კი, დილით, იმის ნაცვლად, თავს მიხედოს, სამზარეულოში გარბის, საყვარელი ოთხფეხასთვის საუზმის მოსამზადებლად. ლოლა კოვზიდან სიამოვნებით მიირთმევს ერბოკვერცხსა და შაშხს, გრაფიკი კი წუთებით აქვს გაწერილი — ბეწვის დავარცხნა, მანიკური, მასაჟი, სეირნობა, პედიკური... ტერიერს საკმაოდ მრავალფეროვანი გარდერობი აქვს, ნებისმიერ ქალს რომ შეშურდებოდა. კაბების, ბოდეების, ბეწვეულის, ქუდებისა და სხვა ატრიბუტიკის გარდა, ლოლას კომფორტული საწოლი აქვს ჩელმსფორტში, რომლის ღირებულებაც 5 ათას გირვანქას შეადგენს.

# მამის ასაკი შვილების ჯანმრთელობაზე მოქმედებს



ახალზელანდიელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ მამის ასაკი გავლენას ახდენს მისი შვილების ჯანმრთელობაზე. რაც უფროსია კაცი, მით მეტია ალბათობა, რომ შვილი მაღალი და მოხდენილი იქნება, თუმცა ასეთ ბავშვებს, როგორც წესი, ქოლესტერინის ჭარბი კონცენტრაცია აქვთ. ოკლენდის უნივერსიტეტის მეცნიერთა გამოკვლევებში მონაწილეობა 3-დან 12 წლამდე ასაკის, 277-მა ბავშვმა მიიღო, მათი მშობლები, შვილის დაბადებისას, 19-დან 52 წლამდე ასაკისა იყვნენ. სიმაღლის შედარებამ აჩვენა, რომ 31-35 წლის და უფროსი მამაკაცების შვილები, საშუალოდ, 2 სანტიმეტრით უფრო მაღლები იყვნენ, ვიდრე შედარებით ახალგაზრდების ბავშვები, მათ სხეულის მასის ინდექსიც უფრო დაბალი ჰქონდათ.

1. ჯოვანი ბოკაჩოს ცნობილი ნაწარმოები
2. დაკოდილი ცხენი
3. ტირიფის სახეობა
4. მეფე დავით VII-ის თიკუნი
5. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია
6. ოქროს საბადოებით მდიდარი რეგიონი კანადაში
7. სოფელი ონის რაიონში
8. გეოგრაფიული რეგიონი ჩრდილოეთ ევროპაში



9. „გეომეტრიის მამა“
10. ახალი ზელანდიის უდიდესი ქალაქი
11. ქიმიური ელემენტი, მეტალი
12. საფოსტო მარკების კოლექციონერობა
13. უკრაინელი მომღერალი ქალი
14. ყველაზე პატარა ჩიტი
15. დიონისეს კვერთხი
16. ქედი საქართველოში
17. დოლიძის ოპერა „ქეთო და …“
18. იგივეა, რაც ზუთხი
19. პარაგვაის ჩაი
20. თბილისის საფეხბ. კლუბი
21. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
22. დამუხტ. ატომი
23. ქალაქი საქართვ.
24. ებრაელ. ბიბლია
25. მისწრაფება
26. მექსიკის ეროვნული კინოპრემია
27. ავთანდილის ეროვნება „ვეფხისტყ.“
28. მთის თუთიყუში
29. უბანი თბილისში
30. გი დე მოპასანის „… მეგობარი“
31. თაფლიანი ფიჭა
32. აკრობატული ნახტომი
33. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
34. მაკედონიური თამბაქო
35. „მამლუკის“ ავტორი
36. ლიანდაგის შემადგენელი ნაწილი
37. შეხვედრა უმაღლეს დონეზე
38. ოთახის დეკორატ. მცენარე
39. ოტელოს მტერი
40. დამხმარე თეორემა მათემატიკ.
41. იატაკზე დასაფენი ქსოვილი
42. დიდი ესპანელი მხატვარი
43. ზ. ფალიაშვილის ოპერა
44. ქართველი მწერალი
45. მწვანილი
46. განმეორებითი ჩხვლეტა ფარიკაობაში
47. ინგლისური სქელი ლუდი
48. თანამედროვე იაპონელი მხატვარი
49. ხორვატი ჩოგბურთელი … მაიოლი
50. საყანედ გაკაფული ტყე
51. მშვილდით სასროლი ჯოხი
52. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
53. ჯინსების სავაჭრო მარკა
54. „კავკასიური ცარცის წრის“ პერსონაჟი ქალი
55. შარლოტა ბრონტეს და
56. პატარა ქვევრი
57. ორმო წყლისათვის
58. თევზის სახეობა
59. თავბრუსხვევა
60. კინოს გადასაღები ლენტი
61. კატის მოფერებითი სახელი
62. პარკოსანი მცენარე
63. ქუთაისური ანეგდოტების პერსონაჟი
64. მღვდლის ცოლი

# შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**



# ამერიკელი 153-ჯერ დააპატიმრეს

ნიუ-ჰემპშირელმა სამართალდამცავებმა თავისებური რეკორდი დაამყარეს, როცა ერთ-ერთი მოქალაქე 153-ედ დააკავეს. ეს დაუცხრომელი ბოროტმოქმედი ბოლო 25 წელია, გამუდმებით არღვევს კანონს, ციხეს კი სამკურნალო დაწესებულებად მიიჩნევს. 49 წლის პოლ ბოლდუინი, ამჯერად ფიზიკურ ძალადობაშია ბრალდებული — მან თავის ოპონენტს სახეში მუშტი ჩაარტყა, ინციდენტიდან ორი დღის შემდეგ კი, იგი უკვე სასამართლოს წინაშე იდგა და დანაშაულიც აღიარა — მთვრალი ვიყავი და დავარტყიო. ბოლდუინის კრიმინალური დოსიეს მიხედვით, 1984 წლიდან, მისთვის ეს უკვე 153-ე პატიმრობაა, დამნაშავემ აღიარა — ციხეში ნებით წავედი, რათა ალკოჰოლური დამოკიდებულებისთვის თავი დამეღწიაო.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.